საერთო გაზეთი

№4 (462) • 7 თებერვალი, 2018წ. • ოთხშაბათი • WWW.SAERTOGAZETI.GE • ფასი 1 ლარი

პოლიცია და საზოგადოება – ერთი მთელის ორი ნაწილი

ღია წერილი შინაგან საქმეთა მინისტრს ბატონ გიორგი გახარიას

„ნაცმაცუნების“ შავი პიარი კახა კალაძის წინააღმდეგ და გამზარდიას ჩაფლავებული „სპეცოპერაცია“ – „დანა პურში“!

ამირან სალუქვაძე:

საინფორმაციო ტერორი ქართული სახელმწიფოს წინააღმდეგ



რეზო ამაშუკელი:

ჩვენ მაგათ დედა უნდა ვუტიროთ!

ეს საცხოვრებელი კორპუსები კი არა მიკრობებით, რადონით და რადიაციით გამოტენილი „კრემატორიუმებია“...



მელორ სტურუა:

სამყაროს აღსასრული ახლოვდება...

დონალდ ტრამპი:

ჰილარის ადგილი ციხეშია

ქემას ბლოგი

„საერთო გაზეთი“ – გაზეთი მოაზროვნე მკითხველისთვის

პოლიცია და საზოგადოება – ერთი მთელის ორი ნაწილი

ღია წერილი შინაგან საქმეთა მინისტრს ბატონ გიორგი გახარიას

უფროსი თაობის თბილისელებს ხშირად უნახავთ ასეთი სურათი – რუსთაველის პროსპექტზე საზოგადოებისთვის კარგად ცნობილი და ავტორიტეტული რომელიმე პიროვნება წითელი სამკლაურით, რომელიც სამართალდამცავების ჯგუფთან ერთად პატრულირებდა და, ასე ვთქვათ, საზოგადოებრივ წესრიგს მათთან ერთად იცავდა.

ესენი იყვნენ ცნობილი მწერლები, მსახიობები, მუსიკოსები, სპორტსმენები, მეცნიერები, განათლების სფეროს წარმომადგენლები, რომლებიც არ თაკილობდნენ, სამართალდამცველებთან ერთად ემორიგევათ თბილისის ქუჩებში.

ეს იყო წინათ, დიდი ხნის წინათ, თუმცა, როგორც ჩანს, დიდი ხნის წინათაც შესანიშნავად ესმოდათ, რომ სამართალდამცავი ორგანოების ეფექტური მუშაობა საზოგადოებასთან მჭიდრო კავშირის და თანამშრომლობის გარეშე წარმოუდგენელია.

სწორედ ამის დემონსტრირება იყო ის სურათი, რომელზეც ახლა ვისაუბრეთ.

ეს იყო ერთგვარი გაფრთხილება, ერთგვარი გზავნილი კრიმინალური სამყაროსადმი, რომ სამართალდამცავები და საზოგადოება ერთად, ერთ მხარეს დგანან.

მჭიდრო თანამშრომლობა საზოგადოებასა და სამართალდამცავ სტრუქტურებს შორის რომ აუცილებელია, ეს, ცხადია, კარგად ესმით დღესაც, მაგრამ კონკრეტულად როგორ და რა ფორმით უნდა განხორციელდეს ეს თანამშრომლობა, ვფიქრობთ, ჯერჯერობით ნათლად არ არის ჩამოყალიბებული, ერთ-ერთი მიზეზი ამისა კი, ჩვენი აზრით, ის გახლავთ, რომ ერთგვარად შეიკვეცა და დაპატარავდა არეალი იმ ცნებისა, რომელსაც საზოგადოება ჰქვია და რომელიც ეგრეთ წოდებული მესამე სექტორის, ანუ არასამთავრობო ორგანიზაციათა ქსელის ჩარჩოებით შემოისაზღვრა.

ეს, ნაწილობრივ, ამ არასამთავრობო ორგანიზაციების „დამსახურებაცაა“, რომლებიც გვარწმუნებენ, რომ სწორედ ისინი და ექსკლუზიურად მხოლოდ ისინი გამოხატავენ მთელი საზოგადოების ნება-სურვილს და მათ მოთხოვნებს, რაც, უმეტესწილად, სულაც არ არის ასე.

საზოგადოებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების პოზიციები ხშირად დიამეტრალურად განსხვავებულია ერთმანეთისგან, თუმცა ეს ხელს არ უშლით ამ ორგანიზაციებს, თავიანთი ხმა საზოგადოების ხმად წარმოაჩინონ და ხელისუფლებას საზოგადოების სახელით ედავონ და ეკამათონ.

მათ, ფაქტობრივად, მონოპოლიზებული, უფრო ზუსტად თუ ვიტყვით, ოკუპირებული აქვთ ის სივრცე, რომელიც სინამდვილეში სამოქალაქო საზოგადოებას ეკუთვნის.

ჩვენთვის უცნობია, არსებობს თუ არა ამ ორგანიზაციების საქმიანობის ამსახველი სერიოზული კვლევა თუ ანალიზი, მაგრამ ასეთი რამ თუ არსებობს, ადვილად მივალთ იმ დასკვნამდე, რომ ამ ე.წ. არასამთავრობო ორგანიზაციების უკან, ხშირ შემთხვევაში, ამა თუ იმ პოლიტიკური თუ ბიზნესჯგუფების ან უფრო უარესი – დანაშაულებრივი სინდიკატების კარგად შეფუთული და შენიღბული ინტერესები დგას, რომლებიც არ შეიძლება თანხვედრაში მოდიოდეს ქართველი ხალხის ეროვნულ და სახელმწიფოებრივ ინტერესებთან.

მიუხედავად ამისა, ამ არასამთავრობო ორგანიზაციებმა, სხვადასხვა ბერკეტების მოშველიებით, მაინც მოახერხეს, განზე გაეწიათ საზოგადოება, ხალხი და, როგორც ზემოთ ვთქვით, ხელისუფლებასთან მუდმივი დისკუსიის რეჟიმში, რომელსაც ზოგჯერ შანტაჟის და ფსიქოლოგიური ზეწოლის ელფერი დაჰკრავს, ხალხის, საზოგადოების სახელით ელაპარაკათ და ემოქმედათ.

შედეგად მივიღეთ ის, რომ სახელმწიფო სტრუქტურების მხრიდან არაერთგზის გაჟღერებული განცხადება, რომ აუცილებელია საზოგადოებასთან მჭიდრო თანამშრომლობა და ურთიერთობა, საზოგადოებას თვითნებურად და დემაგოგიურად ჩანაცვლებულ არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის და ურთიერთობის დონეზე დავიდა, საზოგადოება და ხალხი კი განზე დარჩა.

არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ ხალხსა და ხელისუფლებას შორის ხელოვნურად აღმართული ფსიქოლოგიური ბარიერის გადალახვის გარეშე სახელისუფლო სტრუქტურებსა და ხალხს შორის ნორმალური, ჯანსაღი, ღია, გახსნილი ურთიერთობა ვერ შედგება.

●

მიმდინარე მოვლენებს თუ დავაკვირდებით, დავრწმუნდებით, რომ ფრონტის მთავარი ხაზი დღეს ძალოვან სტრუქტურებზე გადის.

არც ის არის ძნელი შესამჩნევი, რომ მთავარი შეტევა სწორედ ძალოვანი სტრუქტურებისკენ არის მიმართული.

ამ კარგად ორგანიზებული და კარგად დაფინანსებული შეტევის მიზანიც ნათელია – მოახდინონ ძალოვანი სტრუქტურების დისკრედიტაცია და სახელის გატეხვა, მოსახლეობაში მათ მიმართ უნდობლობის გაღვივება, მოქლაქეებისთვის დაუცველობის, უპერსპექტივობის, უიმედობის, შიშის ჩანერგვა.

ამ შემთხვევაში სრულიად დროული და გონივრულია ის საკანონმდებლო ინიციატივები და სხვა სახის ღონისძიებები, რომლებიც შინაგან საქმეთა მინისტრმა **გიორგი გახარიამ** საზოგადოებას შესთავაზა.

აქვე უნდა ითქვას, რომ ამ ინიციატივებისა და ღონისძიებების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ბატონ მინისტრს სწორად აქვს გაგებული და გააზრებული ის ძირითადი პრობლემები და მთავარი გამოწვევები, რაც დღეს ქართული სახელმწიფოს და, უპირველეს ყოვლისა, შსს-ის წინაშე დგას.

ბრძოლა კრიმინალური სამყაროს, კრიმინალური მენტალიტეტის, ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ, მართალია, უაღრესად კომპლექსური და მრავალგანშტოებიანი საკითხია, რომელსაც, ცხადია, ერთი უწყება, ამ შემთხვევაში, შსს ვერ მოერევა, თუმცა ისიც ცხადია, რომ მთავარი ღერძი და ხერხემალი ამ ბრძოლისა მაინც შს სამინისტროა, რომელმაც მაკოორდინერებელი როლი და ფუნქცია უნდა შეასრულოს კრიმინალთან ბრძოლაში.

„საერთო გაზეთი“
გამომცემელი: შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
მის: თბილისი, აღმაშენებლის 164;
ტელ.: 2 34 28 97;
E-mail: saertogazeti@yahoo.com
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს. ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი ჯვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში; თბილისი, აგლაძის 39

® ამ ნიშნით აღნიშნული სარეკლამო მასალები.

აქედან გამომდინარე, მთელი საზოგადოება, მისი თითოეული წევრი ვალდებულია, გვერდით დაუდგეს სამართალდაცმავ სტრუქტურებს და თავისი შესაძლებლობის ფარგლებში ყველაფერი გააკეთოს მის გასაძლიერებლად, მისი გამარჯვებისა და წარმატებისათვის, რადგან წარმატებული შსს ნიშნავს არა მარტო უსაფრთხო და მშვიდ გარემოს, არამედ ეს ნიშნავს წარმატებულ ეკონომიკას, წარმატებულ ბიზნესს, ქვეყნის წარმატებულ განვითარებას და, რაც მთავარია, ამ ქვეყნის თოთოეული მოქალაქის პირად წარმატებასაც.

ჩვენი აზრით, სწორედ ეს მესიჯები უნდა მიიტანოს შს სამინისტრომ ამ ქვეყნის თითოეულ მოქალაქემდე და უნდა მიიტანოს უშუალოდ მან საზოგადოების ავტორიტეტულ და პატივსაცემ წევრებთან ერთად.

ეს ისევე მნიშვნელოვანი და საჭიროა, როგორც ახალი ავტომანქანებით შს-ის ავტოპარკის განახლება და შევსება, ახალი სპეცტექნიკით აღჭურვა, ახალი ტექნოლოგიების დანერგვა და ა. შ.

ამასწინათ ერთმა პოლიტიკოსმა გაბრაზებული ტონით ბრძანა – ბოლო დროს სკოლებთან საპატრულო პოლიციის მანქანებს ვხედავ ხშირად. რა უნდა პოლიციას სკოლშიო.

აი, ეს გახლავთ ის გაუკუღმართებული, მავნებლური, კონფრონტაციული გაგება პოლიციისა და საზოგადოების ურთიერთობისა, როცა პოლიცია წარმოიდგინება როგორც საზოგადოებისათვის რაღაც უცხო სხეული და არა როგორც ამ საზოგადოების მთავარი მოკავშირე და მისი განუყრელი ნაწილი.

შსს სისტემატურად უნდა სტუმრობდეს სკოლებს, უმაღლეს სასწავლებლებს, შემოქმედებით კავშირებს, ინსტიტუტებს, კოლეჯებს. საწარმოებს, ახალგაზრდულ ცენტრებს და პირდაპირი უშუალო დიალოგი უნდა ჰქონდეს ადამიანებთან, როგორც ეს იყო ადრე, დიდი ხნის წინათ, როცა სამართალდამცავებზე იღებდნენ ფილმებს, იდგმებოდა სპექტაკლები, იწერებოდა რომანები, საგაზეთო სტატიები, კეთდებოდა სატელევიზიო გადაცემები და ა. შ. და ა. შ.

არის კიდევ ერთი გლობალური პრობლემა, რომლის გადაწყვეტა ცალკე აღებულ არც ერთ სტრუქტურას არ შეუძლია, თუ ამაში არ ჩაერთვება მთელი სახელმწიფო მანქანა, რა თქმა უნდა, სამოქალაქო საზოგადოების აქტიური მონაწილეობით.

27 წელი გავიდა, საქართველო დამოუკიდებელი, სუვერენული სახელმწიფოა, თუმცა ეს 27 წელიც არ აღმოჩნდა საკმარისი იმისთვის, რომ, ჩვენ, ამ სახელმწიფოს მოქალაქეებს, ბოლომდე გაგვეცნობიერებინა, რომ ეს ჩვენი სახელმწიფოა და მას ისევე უნდა გავუფრთხილდეთ, როგორც საკუთარ ოჯახს.

27 წელია, ჩვენი მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი ვერ ხვდება, რა პასუხისმგებლობა, რა ვალდებულებები აკისრია მას საკუთარი სახელმწიფოს წინაშე, თუმცა, თუ გულახდილნი ვიქნებით, ვერც ქართული სახელმწიფო დაიკვეხნის იმით, რომ თავისი მოქალაქეების წინაშე ვალმოხდილი და პირნათელი იყოს.

27 წელია, საბჭოთა კავშირის შემადგენლობიდან გამოვედით, მაგრამ მენტალურად თითქოს მაინც იქ ვართ და ჩვენი დამოკიდებულება ქართული პოლიციისადმი, ქართული უსაფრთხოების სამსახურისადმი ისეთივე აგრესიულია, როგორიც იყო საბჭოთა მილიციისადმი, საბჭოთა კგბ-სა თუ გრუ-სადმი.

არადა, ეს ჩვენი დამოუკიდებელი ქართული სახელმწეიფოს პოლიციაა, ეს ჩვენი, ქართული სახელმწიფოს, უსაფრთხოების სამსახურია, ეს ჩვენი ქვეყანაა.

საკუთარი სახელმწიფოსადმი გაუცხოების სინდრომი გვჭირს დღეს ჩვენ, ქართველებს და ამიტომაც გავრბივართ ასე იოლად და დაუნანებლად საკუთარი სამშობლოსგან.

თუმცა აქვე ისმის კითხვა: კი, მაგრამ, რას აკეთებს ქართული სახელმწიფო იმისთვის, რომ საქართველოს მოქალაქე საქართველოს პატრიოტად აღიზარდოს, სახელმწიფოებრივი აზროვნება ისწავლოს?

რას აკეთებს და ბევრს არაფერს, უფრო ზუსტად, თითქმის არაფერს.

არადა, სახელმწიფოს არსებობის არსი და დანიშნულება არა მხოლოდ მატერიალური კეთილდღეობის უზრუნველყოფაა საკუთარი მოსახლეობისთვის, არამედ, პირველყოვლისა, სულიერად ზნემაღალი, კეთილშობილი, თავისი ქვეყნის მოყვარული და პატივისმცემელი ღირსეული ადამიანების აღზრდაა.

სახელმწიფოს ეს უმთავრესი ფუნქცია, ეს უმთავრესი მოვალეობა დღეს უკანა პლანზეა გადასული.

– შვილი დედამ უნდა გაზარდოსო, – ბრძანა ბატონმა ბიძინა ივანიშვილმა პოლიტიკაში შემოსვლის პირველსავე დღეებში.

სამწუხაროდ, ჩვენი საზოგადოება ვერ აღმოჩნდა მზად, გაეგო, რა ფილოსოფიური კონცეფცია იდო ამ, ერთი შეხედვით, მარტივად გასაგებ ფრაზაში.

„ჩვენ გვიკვირს და ვკითხულობთ: რატომ იძალადა კაცმა ქალზე, რატომ მოკლა ადამიანმა ადამიანი, ბავშვმა – ბავშვი. რატომ გახდა იგი დაუნდობელი, საკუთარი თანატოლის და მშობლის მიმართაც... რა არის მიზეზი?..

ბავშვს აღარ ჰყავს პედაგოგი სკოლაში, ის გათავისუფლებულია მასწავლებლის ზედამხედველობისგან! მოსწავლე თავად აქციეს მასწავლებლის მასწავლებლად. მასწავლებელს არ შეუძლია ბავშვს შენიშვნა მისცეს და თუნდაც ყური აუწიოს, მკაცრად შეხედოს ან ხმამაღლა დაელაპარაკოს!

ბავშვს ავიწყებენ საკუთარი წინაპრების ისტორიას და კულტურას, რჯულს, ქცევის წესებს...

ბავშვებს მასწავლებლად უზით „რობოტი სფინქსი“ ტელევიზიებიდან, ფეისბუკებიდან, ტელეფონებიდან სატანის თვალი უყურებს და სატანის გონი მართავს. ეს ასეა და ეს არის მწარე რეალობა!

ამ თემის რეზიუმეს სახით მინდა ვთქვა: რაც ხდება ჩვენთან, ჩვენს სამშობლოში, ეს არის უსამშობლოო (და უმშობლო) თაობის სინდრომი და აყრილი ერის ტრაგედია! ეს არის ჩვენი ერის დღევანდელი ბედისწერა!

ჩვენ თუ ვერ დავაბრუნეთ დედა (ქართველი ქალი) საკუთარ ოჯახში, ჩვენ თუ არ დავუბრუნეთ ბავშვებს (თაობას) პედაგოგი, მშობელი და სამშობლო, ყველაფერი დაღუპულია“ (ფრაგმენტები კ. არაბულის წერილიდან. „სგ“ №3. 2018).

დიახ, ასეა, როცა არც ოჯახი, არც სკოლა, არც უმაღლესი სასწავლებლები, არც მწერლობა, არც მედია და, საბოლოო ჯამში, არც სახელმწიფო არაფერს აკეთებს ადამიანის სრულფასოვან ადამიანად აღზრდისთვის, მათ აუცილებლად ჩაენაცვლება კრიმინალური სამყარო და ის იკისრებს „აღმზრდელის“ ფუნქციას, ხოლო როცა ეს უკვე მომხდარია, ამ „აღზრდის“ შედეგების აღმოფხვრა ძალიან რთული და ძნელია.

კრიმინალთან ბრძოლა ყოველთვის დაგვიანებულია, როცა ის უკვე არსებობს და მოქმედებს.

კრიმინალურ მენტალიტეტს, კრიმინალურ ფილოსოფიას ჩანასახშივე თუ არ გამოვუცხადეთ ომი, მერე ამ ომის მოგებას გაასმაგებული ენერგია და ძალისხმევა ჭირდება.

როგორც ჩანს, დადგა დრო, ქართულმა სახელმწიფომ სერიოზულად იფიქროს იმ პრიორიტეტების წინ წამოწევაზე, რომლებიც ხელს შეუწყობს ადამიანის ღირსეულ მოქალაქედ, თავისი ქვეყნის პატრიოტად ჩამოყალიბებას.

სწორედ ეს არის კრიმინალურ სამყაროსთან ბრძოლის ყველაზე ეფექტური და ყველაზე შედეგიანი გზა.

დროა, ქართულმა სახელმწიფომ თავის მოასხლეობას გაახსენოს დავიწყებული დიადი სიტყვა სამშობლო და სამშობლოს გრძნობა გასაკვირველი.

ეს ის თემაა, რომელიც უამრავ საკითხს აერთიანებს თავისთავში და, გამომდინარე აქიდან, მისი ეფექტურად გადაწყვეტა უამრავი სხვადასხვა დარგის სპეციალისტის და სახელმწიფო სტრუქტურების კოორდინირებულ ჩართვას და ერთობლივ მუშაობას მოითხოვენ.

თუ ეს არ მოხდა, ვერცერთი უწყება, რაც არ უნდა ძლიერი და მობილური იყოს, ვერ მოერევა კრიმინალთა ახალ-ახალი თაობების მოზღვავებას, რომლებსაც კრიმინალური სამყარო კონვეიერული წესით ჩეკავს და ჩეკავს თავის შავბნელ „ლაბორატორიებსა“ და „ინკუბატორებში“.

„საერთო გაზეთი“
ტელ: 593 44 04 01

საინფორმაციო ტერორი ქართული სახელმწიფოს წინააღმდეგ

„თუ სპეცოპერაციის დროს დაღუპული მებრძოლის ბედი არ გტკივა, რომელიც შენს უსაფრთხოებას შეეწირა, რატომ უნდა მჯეროდეს, რომ თემირლან მაჩალიკაშვილის ბედმა შეგაწუხა?!“

რომელი ძალები და რატომ აწარმოებენ სახელმწიფო სტრუქტურების დისკრედიტაციას და რა როლი ეკისრება მედიას ამ პროცესში? აქვს თუ არა სახელმწიფოს შემუშავებული მედიასთან ურთიერთობის პოლიტიკა? ამ და სხვა თემებზე „საერთო გაზეთი“ ბრიგადის გენერალს, ანალიტიკოსს სამხედრო-პოლიტიკურ და უსაფრთხოების საკითხებში ამირან სალუქვაძეს ესაუბრა.

—ბოლო თვეების ყველაზე ცხელი თემა სპეცოპერაციებია, რომლებიც ჯერ ბერი გაბრიელ სალოსის ქუჩაზე და შემდეგ პანკისის ხეობაში ჩატარდა. როგორ შეაფასებთ ამ ოპერაციების გაშუქებას და მედიის საქმიანობას სპეცოპერაციებისას?

— ტერორიზმი ძალიან სენსიტიური და მეტიც, საზოგადოებისთვის სახიფათო თემაა, ამიტომ მსგავს საკითხებზე საუბრისას, პოლიტიკოსებს, მედიას, საექსპერტო საზოგადოებას თუ რიგით მოქალაქეებს მეტი პასუხისმგებლობა მართებთ. ცენზურას და თვითცენზურას არ ვგულისხმობ, არსებობს პასუხისმგებლობა მოქალაქეების, საზოგადოების დიდმა ნაწილმა გაიზიარა, „ლაივები“ გამორთეს. ტელევიზიებიც აცხადებდნენ რომ მინიმუმ, 15 წუთის დაგვიანებით ხდებოდა გადაცემა.

— **ეს დრო ინფორმაციის დაძველებისთვის საკმარისად გეჩვენებათ?**

— ვინ განსაზღვრა, რომ 15 წუთით ან ერთი საათით დაგვიანებული ინფორმაცია მოძველებულია? სპეცრაზმელების მხრიდან იყო შეტევის რამდენიმე ტალღა და მათ შორის გარკვეული პაუზა. ტელევიზიამ როგორ უნდა განსაზღვროს, რომ ეს ინფორმაცია ტერორისტებისთვის დაძველდა? იქნებ იმ 15 წუთში სპეცრაზმი ისედაც გაჩერებულია და სატელევიზიო ჩართვა მოქმედებების გააქტიურების მომენტიდან იწყება? ამის გარდა, ვნახეთ, რომ საგამოძიებო მასალების გამოქვეყნებამდე ბევრი სახიფათო განცხადება გაკეთდა, მაგრამ ამაზე აღარ შევჩერდები.. პირველ სპეცოპერაციას პანკისის ხეობაში ანტიტერორისტული მართულებით გადაადგილდებიან, სად არიან ჩასაფრებულები, სნაიპერი რომელი წერტილიდან მოქმედებს, ავტოფარეხთან ორი მებრძოლია ჩასაფრებული თუ ხუთი, სპეცრაზმელებს რა ეკიპირება აქვთ და ა.შ. სპეცოპერაციის მსვლელობისას ასეთი წვრილმანებია მნიშვნელოვანი. ადამიანები არ უფიქრდებიან, რომ ასეთი ჩართვებით შეიძლება ტერორისტებს მნიშვნელოვან დეტალებზე მიაწოდონ ინფორმაცია. მას შემდეგ, რაც საექსპერტო საზოგადოებამ და სპეციალისტებმა ეს ამბავი სოციალური ქსელის საშუალებით გავაპროტესტეთ და პროტესტის შემდეგ შეიძლება, მაგრამ სპეცოპერაციის პირველივე დღიდან გაკეთებულ განცხადებებს თვალს თუ გადავავლებთ, ჩანს როგორ აქეზებდნენ ოჯახს. გარდაცვლილი თავიდანვე უდანაშაულოდ გამოჰყავდათ, როცა მშობელი არ აკეთებდა ასეთ განცხადებებს. ცხადია, ჩვენს პოლიტიკოსებზე და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებზე გაწონასწორებული შეფასებები ხეობის წარმომადგენლებს ჰქონდათ. სრულიად მიუღებელი იყო დაკრძალვის დღეს პოლიტიკური განცხადებების გაკეთება, რაც არც ხეობისა და მოსახლეობის, ასევე არცერთი რელიგიისა და აღმსარებლობის ტრადიციებში არ ჯდება. საერთოდ, დღეს ბევრი ადამიანი აძლევს თავს უფლებას, რომ სამოქალაქო საზოგადოების სახელით ილაპარაკოს. როცა ქვეყანაში 230 პოლიტიკური პარტია და ასობით არასამთავრობოა, რამდენიმე პოლიტიკურ პარტიას თუ არასამთავრობო ორგანიზაციას არა აქვს უფლება სამოქალაქო საზოგადოების სახელით ისაუბროს. საზოგადოება სახელმწიფო სტრუქტურებს უნდა დაეხმაროს, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით, ზედმეტი გართულებები არ იყოს. ჩვენ კი პირიქით ვაკეთებთ. იგრძნობოდა ოჯახის წაქეზების მცდელობები, რაც სხვა არაფერია, თუ სხვისი უბედურების პირადი ინტერესებისთვის გამოყენება. აქვე უნდა აუცილებლად აღვნიშნო, რომ ამ აქტიური რესპოდენტების უმეტესობა არ მინახავს ბერი გაბრიელ სალოსის ქუჩაზე გარდაცვლილი სპეცრაზმელის გამოსვენებაზე. თუ შენი მოქალაქე გეწვის, ერთნაირად უნდა გეწვოდეს ყველა. თუ ოპერაციის დროს დაღუპული მებრძოლი არ გეწვის, რომელიც შენს უსაფრთხოებას შეეწირა, რატომ უნდა მჯეროდეს, რომ თამერლან მაჩალიკაშვილის ბედმა შეგაწუხა?!

— **ამ შემთხვევაში, სახელმწიფოს რა ფუნქცია აკისრია?**

— სახელმწიფო თითოეული ჩვენთაგანია, ამიტომ თუ ვამბობთ, რომ სახელმწიფოში პრობლემები არსებობს, ეს ნიშნავს, რომ საზოგადოებაშიც პრობლემებია. როცა საზოგადოება ასეთ აშკარა წაქეზებას, სიცრუეს და ნეგატივს უსმენს და პროტესტის გრძნობა არ უჩნდება, მსმენელსაც პრობლემა აქვს. თუმცა, თუ გავითვალისწინებთ, რომ წლების განმავლობაში, ქვეყანაში თუნდაც კრიმინალის გაშუქების კუთხით, საინფორმაციო ტერორია, გასაკვირი არაფერია.

— **იქნებ დაგვიკონკრეტოთ, რას გულისხმობთ?**

— კონკრეტულ მაგალითს გეტყვით.. 29 იანვარს საქართველოს ლიტვის პრემიერ-მინისტრი ეწვია. საქართველოსა და ლიტვის პრემიერ-მინისტრების შეხვედრა ქართული ტელევიზიების საინფორმაციო პროგრამებში ზოგან 30-ე წუთზე, ზოგან 35-ე წუთზე და ზოგან მე-40 წუთზე 3 წუთიანი სიუჟეტებით გაშუქდა. წინა სიუჟეტები კრიმინალს ეხებოდა. წარმოიდგინეთ, 40 წუთის განმავლობაში საუბარი იყო კრიმინალზე და სხვა ნეგატივზე, 30–40-ე წუთზე პრემიერ მინისტრის ვიზიტზე. ასეთი სურათი იყო ყველა არხზე, მ.შ. საზოგადოებრივზე. ამასწინათ, სამი

არხის საინფორმაციო გადაცემები შევადარე და აღმოჩნდა, რომ სამივეგან საინფორმაციო გამოშვებები ერთი და იმავე სიუჟეტებით იწყებოდა და ყველა სიუჟეტი კრიმინალს ეხებოდა, თითქოს ამ ყველაფერს ერთი ადამიანი წერს.

— მედია რაში სცოდავს, კრიმინალი თუ ხდება, ფაქტები დამალოს?

—მე არ მითქვამს, რომ არ უნდა გაშუქდეს და არ უნდა ვისაუბროთ, მაგრამ მთავარია ამას როგორ გააკეთებ. ხომ შეიძლება პირველი სიუჟეტი ლიტვის პრემიერ მინისტრის ვიზიტზე გააკეთო და მეორე მკვლელობაზე? ან ერთი და იგივე მკვლელობის ფაქტს დღეების განმავლობაში რომ ატრიალებ, სანამ ახალი მკვლელობა მოხდება, ეს ნორმალურია? მითხარით რომელიმე წარმატებული, ევროპული ქვეყანა, სადაც მკვლელობას, თუნდაც საზარელს, სამი დღე აშუქებენ. ერთი სიახლე ხომ შეიძლება მხოლოდ ერთ დღეს შუქდებოდეს?. არსად მსოფლიოში, თუ სერიოზული კატასტროფა არ მოხდა, საინფორმაციო გამოშვებები კრიმინალით არ იწყება.

კრიმინალი, სპორტი, ამინდი და ა.შ. საინფორმაციო გამოშვებების ბოლოშია. მოიწვიეთ ექსპერტები, ფსიქოლოგები, ექიმები და ნებისმიერი მათგანი დაგიდასტურებთ, რომ როდესაც საზოგადოებას წლების განმავლობაში ნეგატიური ინფორმაციისგან გამოწვეული სტრესის პირობებში ამყოფებ, ეს ადამიანების ფსიქიკაზე აისახება. ასეთი მძიმე საინფორმაციო ფონის დროს, ყველაფრით უზრუნველყოფილი ადამიანიც კი არ იფიქრებს, მაგალითად, მრავალშვილიანობაზე. უბრალოდ, ამის სურვილი გაუქრება. წლების მანძილზე საზოგადოებაში ნეგატიური ფონის შექმნით ვიღაც თავის ვიწრო, პოლიტიკურ ინტერესებს აღწევს, მაგრამ ზიანს აყენებს ქვეყანას, ადამიანების ფსიქიკას, საზოგადოებაში არსებულ კლიმატს, ეკონომიკას...

როგორც ამბობენ, ნაბან წყალს ბავშვი არ უნდა გადავაყოლოთ. ჩვენ ბავშვსაც ვაყოლებთ და სახელმწიფო ინტერესებსაც.

— ქვეყანაში კრიმინალის ზრდაზე მარტო მედია და პოლიტიკოსები არ საუბრობენ. შსს სამინისტრომ გამოაქვეყნა სტატისტიკა, რომლის მიხედვით, 2016 წელთან შედარებით, 2017 წელს რეგისტრირებული დანაშაულის მაჩვენებელი 5,4%-ით გაზრდილია.

— რა თქმა უნდა, შსს დანაშაულის მატების ტენდენციას უნდა ებრძოლოს, მაგრამ ისიც უნდა ვთქვათ, რომ ეს მაღალი პროცენტი არ არის. 5%-იანი მატება ციფრებში რომ გადავიყვანოთ, გამოდის, რომ ადრე თუ 100 სამართალდარღვევა ხდებოდა, ახლა 105 ხდება. დასახელდა 34000 სამართალდარღვევა წლის განმავლობაში, თუმცა წინა ხელისუფლების დროსაც, დაახლოებით იგივე ციფრები იყო. სწორედ დღეს ამოვკრიფე წინა წლების კრიმინალის სტატისტიკა. 2010–2011 წლებშიც კი, როცა კრიმინალის კლება იყო 2006–2007 წლებთან შედარებით, ყოველ დღე ხდებოდა მკვლელობა, ქურდობა, ყაჩაღობა და გაუპატიურება. მაგალითისთვის მოვიყვან 2010 წლის ივლისის სტატისტიკას საქსტატის მონაცემებით: სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები, განზრახ მკვლელობა – 12, მკვლელობის მცდელობა – 20, თვითმკვლელობამდე მიყვანა 230, რაც კატასტროფული ციფრია. სქესობრივი თავისუფლების წინააღმდეგ მიმართული დანაშაული – გაუპატიურება 10, რაც ნიშნავს, რომ ყოველ მესამე დღეს გაუპატიურება ხდებოდა, სხვა სქესობრივი დანაშაული – 11. ასევე, ქურდობა 1009, ყაჩაღობა – 20, ძარცვა – 67, თაღლითობა – 42. მთლიანობაში 2010 წლის ივლისში მოხდა 227 განსაკუთრებით მძიმე, 598 მძიმე და 3192 ნაკლებად მძიმე დანაშაული, რაც დღეში 134 განსაკუთრებით მძიმე, მძიმე ან ნაკლებად მძიმე სამართალდარღვევა გამოდის. 2010 წლის ივლისში ზემოთ ჩამოთვლილი ყველა დანაშაული გაშუქდა? საინფორმაციო გამოშვებები ამ კრიმინალური ფაქტების განხილვით იწყებოდა და რამდენიმე დღე ატრიალებდნენ? რა თქმა უნდა არა და ასეც უნდა ყოფილიყო. ახლა რატომ ვიქცევით პირიქით და რატომ ვატერორებთ საზოგადოებას?

— იმ პერიოდში, საინფორმაციო გამოშვებები ძირითადად, იმაზე საუბრით იწყებოდა, სააკაშვილმა სად რა გახსნა.

— ასეც უნდა იყოს. გადახედეთ სხვა ქვეყნების საინფორმაციო გადაცემებს. პირველი სიუჟეტებში საუბრობენ რა შეხვედრები აქვს პრეზიდენტს და მთავრობის ხელმძღვანელს, რა წარმატებებია ეკონომიკაში და ა.შ. ბევრი ქვეყნის საინფორმაციო საშუალება კრიმინალს საერთოდ არ აშუქებს და ამისთვის ცალკე რუბრიკები აქვთ. ჩვენთანაც იყო პოპულარული გადაცემა „პატრული“, შუაღამით, რომელიც აპოკალიფსურ სურათს კი არ ხატავდა, პოლიციის პოპულარიზაციას ეწეოდა, რაც ასევე სწორია. იმას კი რაც დღეს ვიწრო პოლიტიკური ინტერესებისთვის კეთდება, ადამიანების ფსიქიკა ეწირება. როდესაც წლების განმავლობაში ძალოვანი სტრუქტურების გაცხოველებული ანტიპიარი მიმდინარეობს, აღარ უნდა გვიკვირდეს, რომ, მაგალითად, ხორავას ქუჩაზე მომხდარ მკვლელობის საქმეზე ბევრმა ადამიანმა უარი განაცხადა პოლიციასთან თანამშრომლობაზე. არც მკვლელობები უნდა გვიკვირდეს წესით, თუ ზემოთ მოყვანილ სტატისტიკას მოვიშველიებთ. არასრულწლოვანთა სამართალდარღვევებს რაც შეეხება, საქართველოში 2003 წლიდან 2017 წლის ჩათვლით ყოველ წელს ხდებოდა 300-დან 1000-მდე დანაშაული. ამნისტიასა და შეწყალებას შორის სხვაობასაც კი არ ვუხსნით მოსახლეობას. ამნისტიით შესაძლებელია ერთი ხელის მოსმით, ათასობით ადამიანი გაათავისუფლო, თუ კონკრეტულ მუხლებზე გამოაცხადებ. შეწყალების გზით კი შეუძლებელია დღეში 2–3 მსჯავრდებულის შეწყალება, რასაც ჩვენ წლებია ვაკეთებთ, რადგან ერთ დღეში 2–3 საქმეს ფიზიკურად ვერ შეისწავლი. არც ის შეგვისწავლია, თუ რა გავლენა იქონია კრიმინალზე როგორც ერთმა, ისე მეორე პროცედურამ. მოკლედ, ისეთი არაფერი ხდება, რაც არ ხდებოდა და ეს მძიმე საინფორმაციო ფონი როგორმე უნდა მოიხსნას.

ჩვენ ტელევიზიით ვნახეთ კადრები, რომ ბრალდებულთა ადვოკატებს სუსის შენობასათან ყუთებით გადაეცათ დიდძალი საგამოძიებო მასალა. ჩემი ვარაუდით, რომელიღაც ადვოკატმა დაარღვია გაუთქმელობის პირობა, თუ ასეთზე ხელი ჰქონდა მოწერილი და მასალები მედიას გადასცა. ის სიუჟეტი, რაც ტელეეთერით გავიდა, საკმარისი საფუძველი იყო, რომ პროკურატურას ძიება დაეწყო. უბრალოდ ვერ ვხედავ გამოძიების ინტერესს მასალების გასაჯაროებაში. რჩებიან ადვოკატები. მხოლოდ მედიას შეუძლია დაასახელოს წყარო, თუ ვისგან მიიღეს მასალები. თუ ადვოკატებისგან, მედიას აქვს უფლება არ გაასაჯაროოს წყარო, ხოლო თუ სპეცსამსახურმა მიაწოდა, მათ ადგილას წყაროს დავასახელებდი. ასეთ შემთხვევაში მათ ვერავინ დაადანაშაულებს ქარტიის დარღვევაში. თუმცა გამოვრიცხავ სპეცსამსახურიდან გაჟონვას.

— რატომ ვერ მოახერხა ხელისუფლებამ მედიასთან ურთიერთობის სწორი პოლიტიკის შემუშავება?

— რა თქმა უნდა, ხელისუფლების საინფორმაციო პოლიტიკის პრობლემა არსებობს. არც ისეა დაქცეულია ქვეყანა, როგორც მედია საშუალებებში ჩანს, მაგრამ ხელისუფლება, რომელსაც არ გააჩნია საინფორმაციო სტრატეგია, რეალური სურათის მოსახლეობამდე მიტანას ვერ ახერხებს. ჩვენ გვქონდა ორი უკიდურესობა: ერთი, როცა მთელი საინფორმაციო მანქანა მუშაობდა ჩვენს დასარწმუნებლად, რომ ქვეყანა ყვავის, მსოფლიოს ყურადღების ცენტრში ვართ და ლამის მთელი სამყარო ჩვენს ირგვლივ ტრიალებს და მეორე, როცა დღევანდელმა ხელისუფლებამ გამოაცხადა, რომ პიარზე ფულის ხარჯვას არ აპირებს და ამ მიმართულებით საერთოდ შეწყვიტა მუშაობა. საინტერესოა, რას ელოდნენ, რომ ძალა, რომელიც ხელისუფლებიდან ოპოზიციაში გადავიდა, საკუთარ საინფორმაციო რესურსს მთავრობის სასარგებლოდ გამოიყენებდა? დღეს არც ხელისუფლებამ იცის რა მესიჯებს ელოდება ხალხი მისგან და არც ოპოზიციამ. მოსახლეობის ძალიან დიდი ნაწილისთვის როგორც ერთის, ისე მეორეს მესიჯები მიუღებელია.

ნელი თორდია
599 52 60 30

„ნაცმაცუნების“ შავი პიარი კახა კალაძის წინააღმდეგ და გამზარდიას ჩაფლავებული „სპეცოპერაცია“ – „დანა პურში!“

ხელისუფლების დისკრედიტაციაზეა აწყობილი შავი პიარის „გორაობა“ გრძელდება. განსაკუთრებული სიმძაფრით ნაცმაცუნები კახი კალაძეს „ეომებიან“ ნაცმაცუნები თავის ბიძაშვილ-მამიდაშვილ პარტიებთან ერთად. ნაცმედია „ომს“ თავდაუზოგავად, ჩვეული, ბოლშევიკური შემართებით აწარმოებს, თუმცა უშედეგოდ, რადგან მხოლოდ მათ „მრევლს“ ჯერა იმ ცრუ ინფორმაციების რომელსაც ნაცსატელიტი მედია ავრცელებს.

სკოლამდელი აღსაზრდელი ბავშვების კვებითი უზრუნველყოფის მომსახურებაზე სკანდალი გასული წლის დეკემბერში გამძაფრდა და დამარცხებული კომპანია „ელფი“ რომელიც 2006 წლიდან ეწევა კვებითი მომსახურეობის ბიზნესს და სკოლამდელი აღსაზრდელების კვებით მომსახურებას უზრუნველყოფდა მერიას დაუპირისპირდა. თუმცა მანამდე „ელფის“ დირექტორი, **თინათინ პაპუაშვილი** დედაქალაქის მერიის მონიტორინგის სამსახურის უფროსს, ბადრი გიორგიძეს კომპანიის საქმიანობისთვის ხელისშეშლაში სდებდა ბრალს.

როგორც ირკვევა, თბილისის მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის საქალაქო სამსახურის დასკვნის თანახმად, სკოლამდელი აღსაზრდელი ბავშვების კვებით უზრუნველყოფის მომსახურების პერიოდში, მნიშვნელოვნად გაზრდილი იქნა მომსახურების ღირებულება შპს „**ელფი**“-ს სასარგებლოდ, რაც განხორციელდა მისაწოდებელ კვების პროდუქტებზე ამავე საზოგადოების მიერ ფასების სავარაუდოდ ხელოვნურად გაზრდის გამო.

ჯერ კიდევ 2014 წლის 8 ნოემბერს, ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა „მოამბის“ ეთერით განაცხადა, რომ ირაკლი ალასანიამ ხელიშეუწყო ნაციონალური მოძრაობის დროს დაფუძნებულ კომპანია „ელფს“ , თავდაცვის სამინისტროს მომარაგების ტენდერი მოეგო. საქმე ეხებოდა აღნიშნულ პერიოდში ჯარისკაცების მოწამვლის გახშირებულ ფაქტებს. მედიაში 2013 წლიდან ვრცელდებოდა ინფორმაცია ჯარისკაცების მოწამვლის ფაქტების და შეიარაღებული ძალების კვების უსაფრთხოებაში არსებული პრობლემების შესახებ. ივანიშვილი გაოცებას ვერ მალავდა- თავდაცვის სამინისტროს მომარაგებაში რატომ დარჩა ნაციონალური მოძრაობის დროს „მოლივლივე“ კომპანიაო.

„ნაცებმა“ 2006 წლიდან ბავშვების კვება და სწორედ „ელფი“-ს შერჩეული მნეები არიან დღესაც ბაღებში და „ელფი-ს“ წყალობის დასაფასებლად „იღწვიან“ მერიის და გამარჯვებული კომპანია „ნილის“ დისკრედიტაციის მისაღწევად. ჯერ იყო და დისკვალიფიცირებულმა კომპანია „ნილმა“ რატომ გაიმარჯვაო. კახი კალაძემ და ბაღების სააგენტომ აღნიშნულთან დაკავშირებით ამომწურავი პასუხი გასცა, რომ დისკვალიფიკაცია მხოლოდ ტექნიკურ ხარვეზს მოიცავდა. (კერძოდ, საგარანტიო წერილი ერთი დღის დაგვიანებით აიტვირთა)შემდეგ, თითქოს ყველი შეიტანეს არა კალორიული და ფოტოც დადეს, აღმოჩნდა, რომ ფოტო ყალბი იყო და გავრცელებული ფაქტი სიცრუე. შემდეგ რძე, მიმწოდებელ კომპანიას იგივე შეფუთვით, მაგრამ ღვინის ეტიკეტით შეუტანია(რადგან ეტიკეტი საზღვარგარეთ იბეჭდებოდა და გარკვეული მიზეზით აღარ ჰქონდათ, თან ყველა ბაღში არ შესულა სხვა ეტიკეტით) და თითქოს „მარიხუანა“ ეწერა „**ცრუსთავმა**“ და მისმა საბიძაშვილომ დაიხოკეს ლოყები. რძე ლაბორატორიაშიც შემოწმდა და დაერთიათასი ბავშვიდან არავინ მოწამლულა? შაქრის, მარილის და კალორაჟის შემცირება ჯანდაცვის საერთაშორისო ორგანიზაციის რეკომენდაციით მოხდა და მერიას უწევს აღნიშნულთან დაკავშირებით თავის მართლება. გაეროს ბავშვთა ფონდის განათლების პროგრამის ხელმძღვანელი **მაია ჟუჟარაძის** განმარტებით გაეროს ბაშვთა ფონდი დიდი ხანია აღნიშნავდა, რომ საქართველოში ბაგა-ბაღების მენიუ იყო გადატვირთული და იქ გათვალისწინებული კალორაჟი არ შეესაბამებოდა ევროპულ სტანდარტებს. 2017 წლის დეკემბერში მთავრობის მიერ მოხდა ახალი სტანდარტების დამტკიცება, რომელიც უკვე აისახა მენიუზე, თუმცა საზოგადოება ამ ცვლილებებთან დაკავშირებით ინფორმირებული არ არის. ჩვენ ვეთანხმებით კვების ახალ სტანდარტებს, რომლიან დაბალანსებული და მათი განვითრებისთვის საჭირო კვებითი ღირებულების მქონე საკვებით, ვიტამინებით. მთავარია, რომ ეს ახალი სტანდარტები, მენიუ და კალორაჟი კარგად შეისწავლონ ბაღებმა და ზუსტად მისი გათვალისწინებით იყოს მენიუ შედგენილი. ევროსტანდარტების მოყვარული ნაცები ამ შემთხვევაში რამ აღაშფოთა გაუგებარია, ფაქტია, რომ მათ ბავშვების ბედი კი არა სხვა რამ აწუხებთ – კონტროლის და გავლენის დაკარგვა. „მომავლის“ დარდით შეწუხებულ ნაცმედიას **არჩილ გამზარდია** შეუერთდა, კოპებშეკრული ჩაერთო „საქმეში“ და შარშან დეკემბერში, სოციალური ქსელით გავრცელებული ფოტოს მსგავსი ფოტო წარმოადგინა სადაც გაგლეჯილ პურში საკანცელარიო დანა „ინახებოდა“ , ცნობილი ფქტია, რომ ბაღებში მხოლოდ დაჭრილი პური შედის. თან, არა

ექსპერტიზაზეც წუნი არ დასდებია…შემდეგ თევზი დაიწუნეს, ორაგულისებრთა ოჯახის წევრი კი არა-მეფე რატომ არ არისო. აღნიშნულთან დაკავშირებითაც გაეცა მავანთ მერიის მხრიდან პასუხი. შემდეგ ახალი სკანდალი გამოაცხვეს, თითქოს ერთ-ერთ ბაღში ხუთი ბავშვი ბანანით მოიწამლა, აღმოჩნდა, რომ ბავშვებს ენტერო ვირუსი ჰქონდათ და ორი ბავშვი ერთი ოჯახის წევრი იყო და სამი მათი მეზობელი. ყველა ბაღში ერთი და იგივე პროდუქტი შედის და სხვა ბაღში ასსამოცლის თანახმადაც გადახედილია კალორაჟი და მენიუ. რეალურად ოდნავ შემცირებულია კალორაჟი იმის ხარჯზე, რომ ბავშვისთვის არასასარგებლო კვებითი პრდუქტები ამოღებულია რაციონიდან — მაგალითად შაქარი. სამაგიეროდ, გაზრდილია კვებითი ღირებულების საკვები, როგორიც არის ხილი ბოსტნეული, ხორცეული, თევზეული და ასე შემდეგ. აქამდე მენიუ გაჯერებული იყო ძალიან ბევრი შაქრი თ. ახალი სტანდარტებით კი, რეალურად, ბავშვის დანაყრება მოხდება იმ ფორმის რომელიც ფოტოზე იყო აღბეჭდილი. თუნდაც დავუშვათ დაუჭრელი პური შესულიყო ბაღში, ბავშვებს დაუჭრიდნენ თუ დაგლეჯილ პურს მიართმევდნენ მკითხველმა განსაზღვროს. სკოლამდელი განვითარების და უფლებების დაცვის ლიგის ხელმძღვანელმა **მზია ფაილოძემ** აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით განაცხადა, რომ მედიით გავრცელებული „ფაქტი“ სიმართლეს არ შეეფერება, ყველა ბაღში შედის დაჭრილი პური და გამორიცხულია მსგავსი რამ მომხდარიყო. მზია ფაილოძემ ასევე აღნიშნა, რომ პირადად შეისწავლა ათეულობით სკოლამდელი დაწესებულება და კვების მხრივ პრობლემა არ ყოფილა. ახალგაზრდა ბოლშევიკმა არჩილ გამზარდიამ, ცეცხლი აფრქვია და ბავშვების ბაღში ტარება სახიფათოდ და ტრაგიკულად დახატა, მაგრამ მისი შვილი რატომღაც მაინც დადიოდა და დადის „საშიშ“ ბაღში. შემდეგ აღშფოთდა: შეტყობინება მივიღე ერთ-ერთ ბაღში სასწრაფოებია მობილიზებულიო და იქაც ცარიელი



გიორგი ვაშაძე



თინათინ პაპუაშვილი



თეონა ჭალიძე



არჩილ გამზარდია

8 გვ. →

ეს საცხოვრებელი კორპუსები კი არა მიკრობებით, რადონით და რადიაციით გამოჯენილი „კრემატორიუმებია“, რომლებიც ერთი მიწისძვრა და ხუხულასავით ჩამოიფინება ძირს...

გვესაუბრება არასამთავრობო ორგანიზაცია „მშენებელთა ლიგის“ თავმჯდომარე ანზორ საკანდელიძე

მშენებლობის სფეროში რომ სრული განუკითხაობა და ქაოსია, ამის შესახებ არაერთხელ მისაუბრია მედიასაშუალებებით, მაგრამ დღეს მინდა პირველ რიგში, რამდენიმე დღის წინ მეტროსადგურ „ვარკეთილში“ მომხდარ სამწუხარო ფაქტს შევეხო. მოგეხსენებათ, უამრავი ადამიანი დაშავდა, რომ არა მატარებლის მემანქანის პროფესიონალიზმი, დაშავებულთა რაოდენობა გაცილებით მეტი იქნებოდა. ჩნდება სრულიად ლოგიკური კითხვა, რისთვის ჩატარდა ამ მეტროსადგურის რეკონსტრუქცია თუ რემონტი, ვის ჭირდებოდა?

საქართველოში თუ რაიმე კეთდება, იქნება ეს მშენებლობა, რეკონსტრუქცია თუ სხვა, ეს იმისთვის კი არ კეთდება, რომ მოქალაქეებს ჭირდებათ, არამედ იმისთვის, რომ რომელიმე კონკრეტულმა კომპანიამ ფული „გააკეთოს“, ტენდერი იქნება თუ კომერციული შესყიდვაო. აი, ეს არის მთელი პრობლემა, უფრო მეტიც, ტრაგედია. მეტროსადგურ „ვარკეთილში“ მანამდეც შეკიდული ჭერი იყო, რომელიც მყარ ანკერებში იყო გადაწყვეტილი, ხისტად და მყარად იყო მიერთებული ლითონის მილაკები, რასაც თავისი დანიშნულება ჰქონდა და ვიზუალურადაც კარგად გამოიყურებოდა. ამიტომაც ვფიქრობ, რეკონსტრუქცია ფულის საშოვნელად გაკეთდა. მშენებლობის სფეროში გამეფებული სრული განუკითხაობის უპირველესი მიზეზი ისაა, რომ ქვეყანაში არ არსებობს მშენებლობის სამინისტრო. სამინისტროს ვინ ჩივის, სანთლით რომ ეძებოთ, მთავრობაში, სამინისტროებში, პარლამენტში და მერიაში ერთ მშენებელს ვერ ნახავთ. ამ დარგის თითო მრჩეველი მაინც აიყვანონ პრემიერ-მინისტრმა და დედაქალაქის მერმა, რომ მშენებელი როცა მივა იქ, დაელაპარაკოს. ყველგან მხოლოდ არქიტექტორები და ურბანისტები, იგივე არქიტექტორები არიან. ყველაფერი არქიტექტორებმა აიღეს ხელში, მშენებლები კი გვერდით გაწიეს, რაც ყოვლად დაუშვებელია. არქიტექტურა არ არის მშენებლობა, ის მშენებლობის მხოლოდ გარკვეული ნაწილია (20%), დანარჩენი სამშენებლო ნაწილებია დაწყებული საძირკვლიდან, კონსტრუქციული ნაწილი, ტექნოლოგია, ორგანიზაცია, შრომის დაცვა და ა.შ.

თბილისს არც ურბანისტის (განაშენიანების სპეციალისტი) ხელი ეტყობა, განსაკუთრებით ცენტრალურ ნაწილს, მიჯრით მიწყობილმა მრავალსართულიანმა კორპუსებმა ქვის ჯუნგლებს დაამსგავსა დედაქალაქი.

ერთმანეთთან ასე ახლოს იმიტომ აშენებდნენ ამ კორპუსებს, რომ ფართობი მოეგოთ, ქაოტური მშენებლობების პროცესი თუ არ შევაჩერეთ, უარესი გველის, მთლად ჩაბნელდება ქალაქი. უამრავი ადამიანია მშენებლობებისგან დაზარალებული, სახლები თავზე ენგრევათ. ე.წ. ხრუშჩოვკებს რამდენჯერმე უფრო მეტ სართული დააშენეს, რომლებსაც გაცილებით ღრმა საძირკველი ჭირდება, მიწა რომ მოჭრეს და საძირკველი ჩააღრმავეს, ძირი შენობის ფუნდამენტი გაშიშვლდა და ჰაერში გამოეკიდა, გრუნტი დასუსტდა, რის გამოც შენობა „დაჯდა“ და კედლები დაებზარა. ძველ შენობას მთლად გვერდით უშენებენ მრავალსართულიან კორპუსს, რის გამოც ზიანდება ფუნდამენტი და ძველი კორპუსები ინგრევა. აქ მეორე სერიოზული პრობლემაც წარმოიშვა, შენობები ისე უნდა იყოს დაშორებული ერთმანეთისგან, რომ მზის სხივი თავისი დახრით შევიდეს იქ, რადგან ულტრაიისფერი სხივები მიკრობებს სპობს, გამრავლების საშუალებას არ აძლევს. ისეა მიწყობილი ერთმანეთზე ეს მრავალსართულიანი კორპუსები, რომ მზის სხივი შიგნით ვეღარ აღწევს, მიკრობებით გამოვსებული კორპუსები კი სვადასხვა დაავადებებს იწვევს. ცალკე საკითხია რა მასალებით ვაშენებთ, ან ვარემონტებთ სახლს, საშენი მასალა, განსაკუთრებით მოსაპირკეთებელი მასალები აუცილებლად უნდა გადიოდეს შემოწმებას. ჩვენთან მოსაპირკეთებელი მასალები ძირითადად საზღვარგარეთიდან შემოდის, ცნობილი ფაქტია, რომ ამ იმპორტული საქონლის ეკოლოგიურ უსაფრთხოებას საბაჟოზეც კი არ ამოწმებენ. იგივე რუსეთში მოსაპირკეთებელ მასალაზე სამმაგი კონტროლია დაწესებული, პირველად საბაჟოზე მოწმდება მისი ეკოლოგიური უსაფრთხოება, მეორედ რეალიზაციის დროს საცალო თუ საბითუმო ვაჭრობაში, ბოლოს უშუალოდ სამშენებლო ობიექტზე, შემოწმების გარეშე ამ მასალის გამოყენება არ ხდება. შეიძლება ცალცალკე ეს მასალები გარკვეულ სტანდარტებს აკმაყოფილებს, მაგრამ მშენებლობისა თუ რემონტის დასრულების შემდეგ, სპეცხელსაწყოებით (დოზიმეტრები) უნდა მოხდეს მთლიანად შენობის შემოწმება, ჰაერის ტოქსიკურობის განსაზღვრა, რადიაციის, რადონის (რადიოაქტიური მძიმე ინერტული აირი), ელექტრომაგნიტური გამოსხივების დონე და ა.შ. აღმოჩნდა, რომ რადონი რადიაციაზე მეტად თუ არა, ნაკლებად სახიფათო ნამდვლად არ ყოფილა ჯანმრთელობისთვის და სიცოცხლისთვის, მისი გამოსხივების გასაზომადაც სხვა აპარატურას (რადონომეტრი) იყენებენ. რომ ეგონათ რადიაციის მიზეზით არიან გარდაცვლილები, ამ ადამიანების 70% რადონით ყოფილა მოწამლული. ურანისა და სხვა რადიაქტიური ნივთიერებებისგან განსხვავებით, რადონს გარკვეული დოზით ყველა საშენი მასალის შეიცავს, რადგან იგი დედამიწის ქერქში არსებული ყველა ქანის შემადგენლობაშია. ამიტომ აუცილებლად უნდა განისაზღვროს საშენ მასალებში რადონის შემცველობის დონე, შეესაბამება თუ არა დასაშვებ დოზას. ეს ნივთიერება მიწის ქერქიდან თავისითაც თავისუფლად ამოდის, ამიტომ მშენებლობას როცა ვიწყებთ, აუცილებლად უნდა შემოწმდეს გრუნტი რადონის შემცველობაზე, რადგან იატაკსა თუ კედლებში უპრებლომოდ გაივლის და მისი დახურულ სივრცეში დაგროვება სასიკვდილო შედეგს იწვევს. უკვე აშენებულ შენობებში სისტემატურად უნდა მოწმდებოდეს სარდაფი და პირველ-მეორე სართული. ამ შემოწმებებს რომ არ ვაკეთებთ, იმიტომაც იმატა კატასტროფულად ონკოლოგიურმა დაავადებებმა. უცხოეთში არათუ ადამიანს, შინაურს ცხოველსაც კი არ უშვებენ სადგომში, თუ რადონის დონე არ არის შემოწმებული.

მსოფლიოს ჯანდაცვის საერთაშორისო ორგანიზაციის სტატისტიკის მიხედვით, სამშენებლო-ეკოლოგიური უსაფრთხოების ნორმების დაუცველობით გამოწვეული დაავადებებით უამრავი ადამიანი იღუპება, გარდაცვლილთა რაოდენობის ლამის 70%-ზე მეტი. საქართველოსთვის რადონზე არანაკლები პრობლემა რადიაციული გამოსხივებაა, ვგულისხმობ სამშენებლო სფეროს. მოგეხსენებათ, 1986 წელს უკრაინაში აფეთქდა ჩერნობილის ატომური რეაქტორი. ის რეგიონი, სადაც ეს ობიექტი მდებარეობს (მოცულობით საქართველოზე დიდი ტერიტორიაა) ძირითადად სამრეწველო ზონა იყო მსხვილი ფაბრიკა-ქარხნებით, რეაქტორის აფეთქების შემდეგ, მთლიანად ჩაიკეტა იქაურობა და წლების განმავლობაში აღარავის უშვებდნენ. მოგვიანებით, ნელნელა ფარულად დაიწყეს მავანთ იქ შესვლა, იმ უზარმაზარი ფაბრიკა-ქარხნების ჯართად დაჭრა და სამშენებლო ლითონის გამოშვება, რომლის ნაწილი საქართველოშიც შემოდიოდა. თბილისში ხმები დადიოდა, რომ ნაციონალების მაღალი ეშელონების წარმომადგენელი გივი თარგამაძე და მისი ძმა ეწეოდნენ უკრაინიდან სამშენებლო ლითონის იმპორტს და ძალიან დიდი ეჭვი არსებობდა, რომ ეს სწორედ ჩერნობილის არმატურა იყო. ეჭვს ის ინფორმაციაც აძლიერებდა, რომელიც აქტიურად ვრცელდებოდა მედიასაშუალებებით (2006–2007 წლები), რომ ერთი მილიონი ტონა არმატურა, რომელიც რუსეთში უნდა შესულიყო, რუსებმა დააკავეს და ქვეყანაში არ შეუშვეს. მათ შეამოწმეს ეს სამშენებლო ლითონი, აღმოაჩინეს რომ რადიაციული იყო ტვირთი არ გაატარეს და საერთოდ ჩაკეტეს უკრაინიდან იმპორტისთვის საზღვარი. ეს ტვირთი შემობრუნდა და საქართველოში შემოვიდა, წარმოიდგინეთ, ერთი მილიონი ტონა რადიაციულად დაბინძურებული სამშენებლო ლითონი. ჩვენთან არავინ ამოწმებდა და დღესაც არავინ ამოწმებს, რომც შეემოწმებინათ გივი თარგამაძეს ვინ გაუბედავდა ამას?! დიდი ეჭვია, რომ ეს ლითონი უკვე ჩადებულია „საქმეში“, ახალაშენებულ შენობების კედლებში, იატაკში, გადახურვებსა და სახურავში ჩადებულია ეს არმატურა და ასხივებს რადიაციას, კიდევ რამდენი წელი გაგრძელდება ასე, ვინ იცის. ფაქტობრივად, ყველა ახალაშენებული კორპუსია შესამოწმებელი რადიაციაზე, გარდა ამისა უნდა შემოწმდეს კაფეები და ბარები, რომლებიც ძირითადად სარდაფებში და პირველ სართულებზეა განთავსებული, ოღონდ უფრო რადონის შემცველობაზე, რადგან ნიადაგიდან ამოსული ეს ნივთიერება პირველად იქ აღწევს, ზემო სართულებზე კონცენტრაცია შედარებით მცირდება.

— ბატონო ანზორ, ვთქვათ, შეამოწმეს და რადონის მაღალი კონცენტრაცია დადგინდა, კაფეებს და ბარებს კი დახურავენ, მაგრამ რა ეშველება იმ მრავალსართულიან კორპუსებს, სადაც უამრავი ხალხი ცხოვრობს?

— ძალიან ძნელი საშველია,

8 გვ.

„ნაცმაცუნების“ შავი პიარი კახი კალაძის წინააღმდეგ და გამზარდიას ჩაფლავებული „სპეცოპერაცია“ – „დანა პურში“!

6 გვ.

ვაზნა გაუვარდა. რადგან ერთი სასწრაფო გახლდათ მისული და ისიც იმის გამო, რომ თანამშრომელს მაღალი წნევა ჰქონდა. „ოპერაცია დანა პურში“ ძალიან გაუბანძდათ, სოციალურ ქსელში მომხმარებლების ნაწილი გულისწყრომას გამოხატავდა, რომ გამზარდიამ ხალხი ჩლუნგად ჩათვალა ასეთი არასერიოზული ინფორმაციის მიწოდებით, ნაწილი კი ნაცების გონებრივი შესაძლებლობების დაქვეითებაზე ღადაობდა. არჩილს გადაცემაში სტუმრად ყავდა „ახალი საქართველოს” სათათბიროს წევრი **თეონა ჭალიძე** რომელიც არცთუ დიდი ხნის წინ მმართველ გუნდს ადმინისტრაციული რესურსის გამოყენებაში ადანაშულებდა. მისი განცხადებით, არჩევნებზე მოქალაქეების პერსონალური მონაცემების მასიური გამოყენება მოხდა. თეონა ჭალიძის თქმით, “ქართულ ოცნების“ წარმომადგენლები მოქალაქეებს ურეკავდნენ და საარჩევნო უბანზე გამოცხადებას სთხოვდნენ. მსგავსი ფაქტი არ მსმენია, მაგრამ გიორგი ვაშაძე, რომ ესემესებს გზავნიდა უმისამართოდ მაგაზე კი ღლიცინებდნენ საზოგადოებრივი ქსელის მომხმარებლები, ეს ის ვაშაძეა არარსებულ კორპუსებში ასობით მკვდარი სული, რომ ჰყავდა ამომრჩეველად რეგისტირებული და ვანო მერაბიშვილს და მთელ მის სამინისტროს მაღალჩინოსნებს ყალბ პასპორტებს და პირადობის მოწმობებს უწერდა და არა მარტო მათ, ათასობით ყალბი პირადობის მოწმობები ამოუღეს აჭარის კუდის ყოფილ უფროს პატარაიძეს, რომელმაც გამოძიებასთან ითანამშრომლა და ხელი მთავარ დამნაშავეს გიორგი ვაშაძეს დაადო.

თეონა ჭალიძე, დღეს ნაცკომპანია „ელფის“ მფარველად გვევლინება და აცხადებს, რომ „ნილმა“ ოდესღაც „ქართულ ოცნებას“ 150000 ლარი „შეწირა“ იმის თქმა ავიწყდება „ელფი“ ნაცებს რამდენს „წირავდა და რა უჯდება ეხლა აგორებული შავი პიარი. რომელიც ჯერ არ დასრულებულა და სარწმუნო წყაროს ცნობით „მძიმე არტილერიაც“ ჩაერთვება ახალი, უსუსური შავი პიარით და მერიის დისკრედიტაციის დიდი მცდელობით. ნაცებს, გვამებზე სიარულის დიდი გამოცდილება აქვთ, ბავშვებით ვაჭრობაც არ გახლავთ მათთვის უცხო. — თეონა ჭალიძემ რამოდენიმე დღის წინ, საქართველოს მთავარ პროკურატურაში, ბაგა-ბაღების კვებითი მომსახურების ტენდერის თაობაზე, განცხადება შეიტანა და ფაქტების გამოძიება მოითხოვა. კონკრეტულად მოხდა თუ არა სატენდერო პირობების მორგება, ერთ კონკრეტულ პრეტენდენტზე და ჰქონდა თუ არა ადგილი კომისიის მხრიდან შესაძლო დანაშაულის დაფარვას. არადა სწორედ ჭალიძის „დაცვის“ ქვეშ მყოფ კომპანია „ელფს“ არგებდნენ ნაცები ტენდერს, სწორედ მასზე იჭრებოდა ტენდერის თარგი და მის გარდა არცერთ კომპანიას არ ჰქონდა უფლება გაემარჯვა. სწორედ ამიტომ არიან ნაცხროვის წევრები თავის სატელიტებთან ერთად გაცოფებულები, რომ კახი კალაძემ მათი „სიმშვიდე“ დაარღვია და ყველაფერი მართლაც გამჭირვალე გახადა.

ქეთევან ზარნაძე
599 52 60 30

ეს საცხოვრებელი კორპუსები კი არა მიკრობებით, რადონით და რადიაციით გამოტენილი „კრემატორიუმებია“, რომლებიც ერთი მიწისძვრა და ხუხულასავით ჩამოიფინება ძირს...

7 გვ.

იმიტომ ვამბობ, რომ მშენებლობის დაწყებამდე უნდა შემოწმდეს ყველაფერი. ჩემი ახლობელი იყო რუსეთიდან ჩამოსული, რომელსაც სამშენებლო ფირმა ჰქონდა, გაოგნებული იყო იმ განუკითხაობით, რაც საქართველოში ხდებოდა. 30 წელზე მეტია, რაც მსოფლიოში დაიწყეს რადონის შემცველობის შემოწმება, ჩვენ ისევ ღრმად გვძინავს. ინგლისის ერთ-ერთ საგრაფოში ჩაატარეს შემოწმება მას შემდეგ, რაც გამოიკვლიეს რა უბედურებას იწვევდა რადონი, აღმოჩნდა, რომ შემოწმებული შენობების მესამედი ისე იყო გაჯერებული ამ ინერტული აირით, რომ აღარაფერი ეშველებოდა,

ამიტომ დაანგრიეს. უზარმაზარ ფინანსებს დებენ ქვეყნები ამგვარ გამოკვლევებში. ყველაზე უკეთესი რადონით გაჯერებული შენობის დანგრევაა, მაგრამ თუ ეს არ ხერხდება, მძლავრი ვენტილაცია უნდა დავამონტაჟოთ, რომ მავნე აირი გაიწოვოს, ეს ვენტილაცია 24-საათიან რეჟიმში უნდა იყოს ჩართული. გარდა ამისა, შემოდის ჩვენთან უკვე შემოდის სპეციალური ნივთიერებები, კალმატრონი და სხვა, რომელიც ემატება ბეტონსა თუ დუღაბში და ის გაზს აღარ ატარებს, უკვე აშენებულ სახლში შეუძლიათ ამ დანამატიანი დუღაბით შელესონ კედლები, იატაკი და ჭერი. ერთი სიტყვით, შეიძლება შეველა და ამის რეკომენდაციებსაც გამოვაცხადებთ, „მშენებელთა ლიგაც“ ამზადებს ამ დანამატებს და სურვილის შემთხვევაში, რადონის შემცველობაზე შემოწმებასაც ვახდენთ.

ვითარების გამოსწორება თუ გვინდა, პირველი რიგში მშენებლობის ნებართვის გაცემის წესი უნდა შეიცვალოს, ასევე ის მავნე პრაქტიკა, ელექტრონულად რომ ხდება ნებართვის გაცემა. მხოლოდ არქიტექტურული ნაწილია საჭირო ნებართვის მისაღებად, თანაც მთლიანად კი არა, მხოლოდ შენობის ფასადის არქიტექტურულ ნახაზს წარადგენენ და ისე ღებულობენ ნებართვას. კანონი მიიღეს, სადაც გაწერილი იყო, რომ, როდესაც ნებართვა გაიცემა, შესაბამისი ბანერი დაიდგმება და მშენებლობა დაიწყება, მერე ადგილზე უნდა ჰქონდეს მშენებელს გაკეთებული დანარჩენი სამშენებლო ნაწილი, გეოლოგიური, კონსტრუქციული ნაწილი და ა.შ. აი, ეს წესი უნდა გაუქმდეს აუცილებლად, პროექტის გზადაგზა კეთება არ გამიგია, ის ბოლომდე უნდა იყოს დამთავრებული, ექსპერტიზებიც გავლილი უნდა ჰქონდეს და მერე უნდა გაიცეს მშენებლობის ნებართვა. სხვათა შორის, ერთ-ერთი ყველაზე დიდი დამნაშავეები ექსპერტები არიან, რომლებიც ისე დახურდავდნენ, რომ 300–400 ლარის გამო, ნებისმიერ საექსპერტო ცნობას აწერენ ხელს. იმიტომაცაა კედლის ძირში რომ აუშენებენ ვინმეს მაღლივ კორპუსს და სახლი თავზე ენგრევა. მერე ეს ექსპერტი ცნობას გასცემს ამ მრავალსართულიანი კორპუსის გამო არ დანგრეულაო, აბა ვისი ბრალია? პროექტში პირველი საინჟინრო-გეოლოგიური დასკვნაა, უნდა ჩატარდეს გრუნტების გამოკვლევა, შეიძლება თუ არა ამ გრუნტზე ამდენი სართულის აშენება, ამხელა დაშორებით და ა.შ. შემდეგ კონსტრუქციული შემოწმება ხდება, გარემოს დაცვის კუთხით, რამდენად მისაღებია იმ კორპუსის აშენება და ა.შ. სრულფასოვნად რომ არ კეთდება პროექტი, დაუხატავენ შვიდსართულიან შენობას, მიიღებენ ნებართვას და მერე ერთი იმდენი სართული, თუ მეტი არა, ემატება. ჯერ როგორ შეიძლება დაბალსართულზე გათვლილ საძირკველზე ამდენი სართულის დაშენება. ხომ ხედავთ რა ამბავია ატეხილი ატენის ქუჩაზე 27-სართულიან კორპუსს რომ აშენებენ, აქაც ხომ შენებისას შეცვალეს სართულების რაოდენობა. ამასაც თავი დავანებოთ, დარღვეულია შესაბამისი კანონი, რკინა-ბეტონის კარკასული შენობა 12 სართულიანზე მეტი არ უნდა იყოს, თუ მაინც ააშენებ, მაშინ დაცული უნდა იყოს ოთხი პირობა, პირველი ესაა ანტისეისმური მედეგობა. ამას როგორ გააკეთებ, როცა არც რაიმე მოწყობილობა გვაქვს, არც კადრები გვყავს, რომ ეს გააკეთებინო და არც გაკეთებულა არასდროს საქართველოში. ყველა 12-ზე მეტ სართულიანი რკინა-ბეტონის კარკასიანი შენობა, რაც შენდება უკანონოა. რა ეშველება ამას, ან ეს შენობები დაიყვანონ 12 სართულზე, მაგრამ როგორ მოანგრევენ, როცა უკვე ხალხი ცხოვრობს იქ. ერთი „გმოსავალია“, ეს კანონი შეცვალონ ან საერთოდ გააუქმონ. მიეჩვია ხალხი უკანონობას, ორი სართულით მეტი რომ ააშენეს და შესაბამისმა სამსახურებმა ყურადღება არ მიაქციეს, მერე უმატეს და ლამის 40 სართულზე ავიდნენ. ჰაერიდან კი არ მოიტანეს სტანდარტი რკინა-ბეტონის კარკასული შენობა 12 სართულზე მეტი რომ არ უნდა იყოს. ისინი მკვლელ შენობებად გამოაცხადეს, 1988 წელს სომხეთში მომხდარი მიწისძვრის დროს, ლენინანაკანში კარკასული შენობების 98% დაინგრა, სხვათა შორის, მაშინ არცერთი „ხრუშჩოვკა“ არ დანგრეულა. 1999 წელს თურქეთის ქალაქ იზმითში მომხდარი მიწისძვრის დროსაც ძირითადად ამგვარი შენობები დაინგრა, ძალიან დიდი მსხვერპლი იყო. ჩვენ კი რას ვაკეთებთ, სეისმურ ზონაში ვცხოვრობთ, უკვე 8 ბალზე გათვლილი შენობები უნდა აშენდეს,

იმის მაგივრად, რომ ნებართვა არ გავცეთ ამ „მკვლელი შენობების“ დარღვევით აშენებაზე, 30–40 სართულიან კორპუსებს ვაშენებინებთ. ისე, ვინ არის ოფიციალურ დონეზე პასუხის მომთხოვნი, როცა მშენებლობის სამინისტრო გააუქმეს და პროფესიონალი მშენებლები ყველა დონეზე ჩამოიცილეს. მშენებლობის სამინისტრო არ არის მხოლოდ რაღაც სამეურნეო დარგი, რომელიც მხოლოდ შემოსავალს გაძლევს და ხალხს გისაქმებს, მას სამხედრო სტრატეგიული დანიშნულებაც აქვს, ამიტომაა ყველა ქვეყანაში ეს სამინისტრო. ნათქვამია, მშვიდობა თუ გინდა, ომისთვის ემზადეო, თუ ვემზადებით ომისთვის, სამხედრო ობიექტებს მშენებლობის სამინისტრო აშენებს, სხვას ვერც გააკეთებინებ, რადგან ეს სამხედრო საიდუმლოება უნდა იყოს, როგორ შეიძლება გარეშე პირს, მითუმეტეს არაპროფესიონალს ანდო.

მანანა სუხიშვილი
599 51 28 24

ახალი რეგულაციების შედეგად შეიძლება მიკროსაფინანსო ბაზარი მოკვდეს, რაც ეროვნულ ბანკს აბსოლუტურად არ ადარდებს

გვესაუბრება ინვესტიციებისა და კაპიტალის მართვის ექსპერტი ვახტანგ ხომიზურაშვილი:

— ბატონო ვახტანგ, „ეროვნულმა ბანკმა“ მიკრო-საფინანსო ორგანიზაციებთან დაკავშირებით ახალი რეგულაციები შემოიღო. რას მოგვიტანს ეს სიახლე?

— დიახ, ეს ფორექსის ბაზარზე წარმოდგენილ კომპანიებს ეხებათ. მოგეხსენებათ, ფორექსი საერთაშორისო სავალუტო ბაზარია, სადაც გარკვეული სადეპოზიტო თანხის მეშვეობით ვალუტების ყიდვა-გაყიდვაა შესაძლებელი. ეს მხოლოდ უცხოურ ვალუტებს როდი ეხება, არამედ უცხოეთის ბირჟებზე არსებულ ფასიან ქაღალდებს, მათ შორის, კრიპტოვალუტებსაც. პირველი, რაც „ეროვნულმა ბანკმა“ გამოაცხადა, მდგომარეობს შემდეგში — ყველა აღნიშნული კომპანია

ვალდებულია „ეროვნულ ბანკში“ დარეგისტრირდეს და ამ სახის ვაჭრობის ჩატარების უფლება საბროკერო კომპანიებს მიანიჭა. ამ შემთხვევაში, საბროკეროში ის კომპანიები იგულისხმება, რომლებიც ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ კანონით რეგულირდებიან, ანუ, ვისაც საფონდო ბირჟაზე ოპერირების უფლება გააჩნია. ამ ინიციატივით, პრაქტიკულად, „ეროვნულმა ბანკმა“ მარტივი გამოსავალი მოძებნა — ყველა ფორექს კომპანია, რომლებიც საქართველოში არიან წარმოდგენილნი, უფლებამოსილნი მხოლოდ და მხოლოდ იმ შემთხვევაში არიან თუ საფონდო ბროკერის ლიცენზიას მიიღებენ. ეს ლიცენზია საბროკერო კომპანიაში გარკვეულ რეგულაციებს, შიდა ნორმატიულ ბაზას ითვალისწინებს, რაც ძირითადად, ფასიან ქაღალდებზეა ორიენტირებული და რაც მთავარია, გულისხმობს საწესდებო სააქციო კაპიტალის კაპიტალიზაციას 500 ათასი ლარის ოდენობით. ეს არის მთავარი მოთხოვნა.

ამ ინიციატივის წყალობით, ფორექს კომპანიებს ორი გამოსავალი რჩებათ — უნდა გაზარდონ კაპიტალიზაცია. არადა, მინდა გითხრათ, რომ უმეტესობას, ვინც ჩვენთან არიან წარმოდგენილები, კაპიტალიზაცია არ აქვთ. მათ მხოლოდ კაპიტალის გაზრდის შემდეგ შეუძლიათ „ეროვნულ ბანკს“ მიმართონ, რათა შესაბამისი ლიცენზია მიიღონ. თუ ამას ვერ აზერხებენ, ამ შემთხვევაში, უნდა დაიხურონ.

რაც შეეხება უშუალოდ საბროკერო კომპანიების მიმართ მოთხოვნას 500 ათასი ლარის ოდენობის თაობაზე, ვთვლი, რომ ეს გადაჭარბებულია იმდენად რამდენადაც დღეს, საბროკერო კომპანიების უმეტესობა ამ მოთხოვნის მიღების შემდეგ დაიხურა. კაპიტალიზაციის თვალსაზრისით, დღესდღეობით, მოთხოვნა უფრო ნაკლები უნდა იყოს. თუ საბროკერო კომპანიაში ოპერაციების და კლიენტურის ზრდა იქნება, მაშინ შეიძლება კაპიტალის ზრდა ეტაპობრივად იყოს დაწესებული. არსებული მოთხოვნები კი, რაც საფონდო ბაზარზეა, დღევანდელ სიტუაციას, აბსოლუტურად, არ შეესაბამება.

— ბატონო ვახტანგ, კიდევ რა ინიციატივებს გვთავაზობს „ეროვნული ბანკი“?

— „ეროვნული ბანკის“ კიდევ ერთი ინიციატივა შემდეგია: კომპანიები რომლებიც სესხებს 20-ზე მეტ ადამიანზე გასცემენ, ვალდებულნი არიან რეგისტრაცია „ეროვნულ ბანკში“ გაიარონ. კი ბატონო, დავუშვათ, რეგისტრაცია გაიარეს, მერე რა ხდება? — ამას „ეროვნული ბანკი“ არ გვეუბნება. „ეროვნული ბანკის“ მთავარი ამოცანა და მიზანი შესრულებული არ არის. იმიტომ, რომ მან ამ კომპანიებს რეგისტრაცია არ უნდა მოთხოვოს. რა ხდება დარეგისტრირების მერე? — გაურკვეველია. „ეროვნული ბანკი“ ითხოვს კომპანიებმა, რომლებიც სესხებს 20-ზე მეტ სუბიექტზე გასცემენ, მიკრო-საფინანსო კომპანიების სტატუსი მიიღონ. აქვე, აღსანიშნავია, რომ როგორც მიკრო-საფინანსო კომპანიებს, ისე სხვა დანარჩენებს მოსახლეობიდან, ნებისმიერი სუბიექტიდან წვრილი თანხების — 100 ათას ლარამდე მოზიდვა აკრძალული აქვთ. 100 ათაზე ნაკლები დეპოზიტები არ შეიძლება, ამის უფლება არ აქვთ, რაც ჩემი აზრით, გამოსავალი არ არის. ერთადერთი გამოსავალი, რესურსების მობილიზაციის თვალსაზრისით, მიკრო-საფინანსო კომპანიებს ის რჩებათ, რომ ფასიანი ქაღალდები გამოუშვან. ამ შემთხვევაში, ეს რეგულაცია, თავისთავად არ მოქმედებს იმიტომ, რომ ეს უკვე ფასიანი ქაღალდების შესახებ კანონს ექვემდებარება. ანუ, ნებისმიერ მიკრო-საფინანსო ორგანიზაციას შეუძლია გამოუშვას როგორც ჩვეულებრივი აქციები, ისე პრივილეგირებული ფიქსირებული დივიდენდი ხმის უფლების გარეშე, ისე ობლიგაციები. მაგრამ, ამ შემთხვევაში, აქაც მიკრო-საფინანსო ორგანიზაციების მხრიდან აქტიურობას ვერ ვხედავთ. იმიტომ, რომ მიკრო-საფინანსო ორგანიზაციებს, რომლებიც, ალბათ, მიჩვეულები არიან ყოველი ფეხის ნაბიჯზე „ეროვნულ ბანკთან“ კონსულტაციები გაიარონ, ეს უკანასკნელი, უბრალოდ, არ აძლევს რეკომენდაციას, რათა მათ ობლიგაციები გამოუშვან. ასეთი არაჯანსაღი მიდგომა „ეროვნული ბანკის“ მხრიდან ფასიანი ქაღალდების ემისიებთან დაკავშირებით, რასაკვირველია, ნეგატიური მოვლენაა.

— ხშირად ისმის, რომ მიკრო-საფინანსო ორგანიზაციები თავის ნებაზეა მიშვებული და „ეროვნული ბანკი“ არ აკონტროლებს, ახლა, შეზღუდვები დაწესდა, მაგრამ საქმეს ვერც ამან უშველა?

— შეზღუდვასაც გააჩნია. როცა „ეროვნული ბანკი“ კომპანიას, პრაქტიკულად, რესურსების მოზიდვას უკრძალავს, ეს რასაკვირველია, ნეგატიური მოვლენაა. „ეროვნულ ბანკს“ რაღაც ნორმატივები, კოეფიციენტები, ფინანსური მაჩვენებლები, როგორიც კომერციულ ბანკებს აქვთ რომ დაეწესებინა, მაშინ სულ სხვა რამ იქნებოდა, ასე, რისკების მართვის თვალსაზრისით, სიტუაცია გაჯანსაღდებოდა იგივე, მიკრო-საფინანსო ორგანიზაციების სფეროში. მაგრამ როცა არავითარი მარეგულირებელი ნორმები არ არსებობს და ამის გარეშე პირდაპირ, ადმინისტრაციული წესით ხდება აკრძალვა, რაც ყველაზე ადვილია, ეს ბანკების ინტერესებში შედის. ამას არ სჭირდება არც ტვინის ჭყლეტვა და არც კომპეტენცია, აკრძალე და მორჩა. შედეგად, მიკრო-საფინანსო ბაზარი რომ მოკვდება, „ეროვნულ ბანკს“, აბსოლუტურად, არ ადარდებს. აი, ასეთი ფსიქოლოგია აქვს „ეროვნული ბანკის“ ხელმძღვანელობას.

— ანუ, „ეროვნული ბანკი“, ამ შემთხვევაში, ზედამხედველობის ფუნქციას ჯანსაღად არ იყენებს?

— რასაკვირველია, ასეა, რასაც საფინანსო, საკრედიტო სფეროზე უფრო ნეგატიური შედეგი და მავნე გავლენა აქვს, ვიდრე პოზიტიური. ასეთი რეგულაციები,

მიდგომები კომუნისტების დროსაც არ ყოფილა, რასაც ახლა, „ეროვნული ბანკი“ იყენებს.

— საუბრის დასაწყისში ახსენეთ, ეს ინიციატივა მოსახლეობისთვის რისკიაო. გამოდის, „ეროვნული ბანკი“ საკუთარ თავზე ზრუნავს?

— ნამდვილად, ასეა. შემდგომში რა იქნება და როგორი რეგულაციები დაწესდება არ ვიცი. თუმცა, ერთიც უნდა ითქვას: პოზიტიური იყო „ეროვნული ბანკის“ ანონსი, რომ საბანკო ჰოლდინგებთან და ბანკებთან ასოცირებული კომპანიების ჯგუფებთან დაკავშირებით რეგულაციებს შემოიღებს. რაც შეეხება ფორექს კომპანიებს, პოზიტივი აქაც არის იმ მხრივ, რომ ყოველ კუთხეში არ იქნება გახსნილი გაურკვეველი წარმომავლობის და შემადგენლობის კომპანიები. მაგრამ ეს კომპანიები შემდგომში აუცილებლად საჭიროებენ ცოტა განსხვავებულ რეგულირებას. იმიტომ, რომ საერთაშორისო სავალუტო ბაზარზე და საფონდო ბაზარზე საბროკერო კომპანიების მიერ განხორციელებული ოპერაციები განსხვავებულია. ამიტომ, ეს გამიჯნული უნდა იყოს.

— დასაწყისში კრიპტოვალუტებით ვაჭრობა ახსენეთ. რა ვითარებაა ამ კუთხით საქართველოში?

— ეს მართლაც საინტერესო მომენტია. კრიპტოვალუტებით ვაჭრობა უკვე რამოდენიმე ბირჟაზე დაშვებულია, მათ შორის, ჩიკაგოს სასაქონლო ბირჟაზე. ჩვენი „ეროვნული ბანკი“ არ ცნობს კრიპტოვალუტებს როგორც საგადამხდელო საშუალებას, თუმცა ეს მაინც არამატერიალური აქტივია, რაც ძალიან დიდ ინტერესს იწვევს. ჩვენთანაც არის წარმოდგენილი ე.წ. მაინინგის კომპანიები, რომლებიც კრიპტოვალუტებს წარმოქმნიან. კრიპტოვალუტების სფეროში ძალიან დიდი კაპიტალების გადადინება ხდება და ეს რეალურად, „ეროვნული ბანკის“ ყურადღების ქვეშ უნდა იყოს.

თამარ შველიძე
555 23 28 24

რეზო ამაშუკელი:

ჩვენ მაგათ დედა უნდა ვუტიროთ!

ფრაგმენტები
რეზო ამაშუკელის
ინტერვიუდან

წამყვანი:
ბონდო მძინარაშვილი
„ობიექტივი“
20 იანვარი, 2018 წელი

— ჩემზე ამბობენ, რომ მე საზოგადო მოღვაწე ვარ, მაგრამ, სინამდვილეში, ასე არ არის. საზოგადო მოღვაწე რომ იყო, ის არეალი უნდა არსებობდეს, სადაც ყურს დაუგდებ ვიღაცას და შენც ყურს დაგიგდებენ.

წარმოვიდგინოთ, რომ ის ერი, რომელიც „ვეფხისტყაოსნის“ პატრონია, ჰაგიოგრაფიის და ასეთი ღირებულებების, თვისებების და ა. შ. ერთ მშვენიერ დღეს გადავასახლოთ ისეთ კუნძულზე, სადაც ყოველივე ეს არის აკრძალული. რა მოხდება? ყოველი უხნეობა, რაც ხდება ჩვენს გარშემო, არის გლობალური მასშტაბის დემოგრაფიული შეტევა პლანეტის წინაღმდეგ. არსებობს დიდი ძალა და სულ, ალბათ, 5–6 ოჯახია, რომლე-

ბიც მართავენ ჩვენს პლანეტას. მე არაფერს ახალს არ ვამბობ და არც შეთქმულების თეორიის მომხრე ვარ, მაგრამ ამ ჯგუფებს სურთ, მოსახლეობა დაიყვანონ ერთ ოქროს მილიარდზე.

ეს იმას ნიშნავს, რომ ისინი ებრძვიან დედამიწაზე ადამიანს. ეს არის კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული.

მე პირდაპირ ვიტყვი: ნებისმიერი იმპერიის შიდა სეიფში ღრმად ჩაკეტილი იდეოლოგია, აზრი და მოქმედების გეგმა ყოველთვის ისაა, რომ გაძლიერდეს.

ჩვენი ვალია, ვიომით, ანუ ისე ვიცხოვროთ, რომ გონებით წინ აღვუდგე ყოველივე ამას.

ეს სატელევიზიო ბადეები, არასამთავრობო ორგანიზაციები, „გირჩი“, „თეთრი ხმაური“, პროსტიტუციის აღიარება, ყოველივე ეს არის ერთი რგოლი, გონივრულად შემუშავებული სპეციალური ინსტიტუტების მიერ. შეთქმულება კაცობრიობის წინააღმდეგ. ამ გეგმის განხორციელება იწყება პატარა ერებისგან, რომელთაც ძალა არ ეძლევათ, ყოველივეს აღუდგნენ წინ.

...ტელევიზიები, რომლებმაც უნდა შექმნან საზოგადოებრივი აზრი და აღზარდონ ახალგაზრდობა, რას აკეთებენ?

პირდაპირ ვაცხადებ — ჩვენ გვაქვს უბინძურესი ტელევიზიები, „იმედიდან“ დაწყებული, პირ-გველიდან დამთვარებული, „იბერიაზე“ რა ხდება, ყველა ვხედავთ. გადახედეთ, რა ამბავში არიან, გაპარსულ ყარაბას-ბარაბასს რომ ჰგავს ის ჟურნალისტი, თმაშეღებილი საჭურისი გვახარია და ა. შ. ამათი შემხედვარე, რანაირად უნდა დადგეს ეს ქვეყანა ფეხზე?! პრეზიდენტზე აუცილებლად უნდ ვთქვა, მაგრამ ცოტა მოგვიანებით.

საია (ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია — ი.კ.) ეს არის სოროსის ბოლში გამოყვანილი საზოგადოება, რომელიც არის ბაზა სახელმწიფო სტრუქტურების შესავსებად. ნახეთ: ჩუგოშვილი, კოჟორიძე, დოლიძე, ნაცვლიშვილი, ყველანი თანამდებობებზე დასვეს. ახლა საიას დირექტორად ვიღაც სალაძე დაუნიშნავთ, ღინღლიან მუხუდოს რომ ჰგავს. კი, ბატონო, იყვნენ ესენი, მაგრამ ხომ შეიძლება, ერთხელ მაინც დავინახო ამათ პროექტებში თუნდაც ერთი პროცენტი მხარდაჭერაქართული პროექტის, ქართული სულიერების, ქართული აღზრდის, განათლების მიმართ. მოსხიპეს ყველაფერი.

წავიდა ის, კაბუკის თეატრის ნიღაბი რომ იყო, ნანუაშვილი, მოგვიყვანეს სოროსის ბურტერიერი ლომჯარია...

ჩემთვის გარეგნობა ადამიანის სულიერ მდგომარეობას გამოხატავს, ამიტომ, რასაც ვამბობ, იმაში ვერავინ შემედავება, რადგან, როგორც ამბობენ, თავისუფალ ქვეყანაში ვცხოვრობთ და კიდევ ვაპირებ საინტერესო პოლიტიკური ზოოპარკის გამოქვეყნებას. იქ ძალიან ბევრი ვოლიერში მოსეირნე ადამიანი გამოჩნდება ცოტა ხანში.

რაც შეეხება მარგველაშვილს, ეს ჩვენი ბიოცისტერნა,

იგივე „კარალევა მარგო“, ფიქრობს ხვალინდელ დღეზე. მას შეწყალებული ჰყავს ისეთი დამნაშავეები, რომელთა შეწყალების უფლება არ ჰქონდა. ამიტომ წინასწარ იმზადებს ნიადაგს, თითქოს ყოველივე ამის ექსკლუზიური უფლება ჰქონდა.

არ მინდოდა მეთქვა, მაგრამ ხანდახან გავიღიმოთ უნდა — ხომ არიან ფადიშაჰები, სულთნები, შაჰები, აღმოსავლეთის მბრძანებლები, დიდი ტიტულები აქვთ — იბნ აბნ ალ და ა. შ. ეს მარგველაშვილია თუ ვიღაცა, ესეც არ უნდა დავტოვოთ სრული შეფასების გარეშე, ამიტომაც ვიტყვი: ის არის ბიოცისტერნა, „კარალევა მარგო“, „ტროას ძროხა“ — დიდი ხნის წინ შემოგდებული, გასაბერი კაცი და „ბატონი რამდი დარი“, გალაკტიონის „ნიკორწმინდის“ მიხედვით, მდიდარი სექსი ჰქონია მაგას.

შე უბედურო, ქართველი კაცი რომ იქამდე მიხვალ, გამოეთრევი და იტყვი, მდიდარი სექსი მაქვსო, ხომ წარმოიდგენს ამის მსმენელი, ასეთი მდიდარი სექსი თუ აქვს, მის ჟიურის წევრ ცოლს რანაირი მდიდარი სექსი ექნება?

სიბინძურეა ეს.

ეს არის ლიბერალური მოძრაობის პირველი ეტაპი.

ხომ ხედავთ, რა იკადრეს ქართველმა ქალებმა? კაცი ვარ და ვერ გავიმეორებ, რისი თავისუფლება მოითხოვეს.

საიდან მოყარეს ეს ვითომ ექსპერტები?

მე მეუბნებიან, ქართველ კაცს — ქალს არ შეხედო, კაცთან დაწექიო.

ამ მახინჯებს, დაუბანელ ტანზე „შანელს“ რომ ისხამენ, ეს თხები, მაგათი კომპლექსი ისაა, რომ აკლიათ ვიტამინი, კახეთში რას ეძახიან, არ ვიცი, მაგრამ ავიტამინოზი აქვთ.

სადამდე უნდა ვიყოთ შეჩერებული დასავლეთს, სადამდე?

უცხოური ფილმები რომ შემოდიდა თბილისში, მხოლოდ ერთი ფილმის ფირი არსებობდა ქალაქში. ფილმის ერთი მონაკვეთი რომ დამთავრდებოდა, ფირს მიარბენინებდნენ მეორე კინოთეატრში, იქიდან მერე სხვაგან და ა. შ. ასე დაათრევენ იმ ვიღაც ექსპერტებს გადაცემიდან გადაცემაში. ანდა ეს გარეწარი პარტიები: მარტო მე, მე და შენ, ეს ბაჩუკი რომ არის, კელამიდის მჭადებს ეძახიან გურულები, დიდი მჭადებია, ორი წერტილი რომ გაუკეთო იმ მჭადს, იმას ჰგავს სახეზე ბაჩუკი ქარდავა.

სამი კაცი ჰყავთ პარტიაში და პარტიააო, იძახიან. მაგაზე დიდი სუფრების თამადა ვყოფილვარ მე.

მაინც მთავარი საკითხია არასათავრობოები.

ხელისუფლება, ჯერჯერობით, ისეთი ყურჩამოყრილია, რომ ებოდიშება — დიახ! არა! გამარჯობა! თქვენ რას იტყვით! და ასე რომ ელოლიავებიან, თუ არასამთავრობოებს არ მოუვლიან, ხალხს მეტი გზა არ დარჩება, მას მერე, რაც ქართველი ერის კისერზე ბოლო ყულფად ნარკოტიკების რეალიზაციის დაკანონებას აპირებენ.

პარლამენტში ამ მიმართულების ემისრები რამდენიმე ახალგაზრდაა. ყოველივე ეს კი მუშავდება ისეთ გაიძვერა ინსტიტუტებში, რომლებიც, პირდაპირ ვაცხადებ, აშშ-ში არის დაფუძნებული.

ჩლიფინით რომ გამოდის იანკელი, კოსტუმი მუცელზე რომ აქვს შეკრული და მხრებზე უკან გადაგდებული, სადარბაზოში ნათურას ვერ დააყენებ, თუ იმან არ თქვა. მთელმა საქართველომ იცის ეს.

...მე არც ისე გაუნათლებელი ვარ, არ შემეძლოს, ჩემი ინტუიციით კარგად განვჭვრიტო, პატარა ცდომილებით, რამდენი ხანი შეიძლება კიდევ ვიცოცხლო.

ჩემს ცხოვრებას ხაზს ვერ გადავუსვამ,. რომ პატარა ყავის ჭიქა მეჭიროს ხელში და ტელევიზორის წინ ვიჯდე.

დედა უნდა ვუტიროთ მაგათ ჩვენ!

პრიორიტეტებიო, ამბობენ.

პრიორიტეტი ერთი ვიცი მე — ეს ნაციონალები უნდა გაიდო ფეხქვეშ, მაგრამ ყველაზე მთავარი პრიორიტეტი ისაა, რომ ეს ერი ბიოლოგიურად გადარჩეს.

ვინც პატრიარქის გვერდზე გაიხედა, მიუხედავად იმისა, რომ შიგნითაც ბევრი ქვეგამხედვარი აღმოჩნდა, ყველა დამარცხდა, მაგრამ თუ გვინდა, რომ ჩვენმა მომავალმა ჯანმრთელად იცხოვროს, ეს მარიხუანაა, კანაფია თუ რა უბედურებაა, ამის დაკანონება არის უდიდესი შეთქმულების ერთი რგოლი. ვინც ამას ვერ გაათვითცნობიერებს, არ მინდა, ძმაო, არა ვარ მე არც ლიდერი, არც მოღვაწე, არც არაფე-

რი, ვარ ერთი სულელი პოეტი, მომეცით ჭიქა და მომეშვით, არ მინდა არაფერი, ჩემს იმედზე ნუ იქნება ნურავინ.

...ვაჭრები არა ვართ ქართველებიო.

ყველა მეორე აღმოჩნდა ვაჭარი.

და ბანკირებმაც მიხედონ თავიანთ ცხოვრებას!

ძალიან კარგი წერილი ჰქონდა გამოქვეყნებული ვახტანგ ხარჩილავას, მომეწონა. მე უკვე რამდენიმე თვეა არსად არ ვიბეჭდები, თავმოყვარეობა მაქვს და იმიტომ აღარ მინდა არაფერი.

რამდენიმეჯერ შეკრება მქონდა.

ყველას ვთხოვე, მოდით-მეთქი.

ყველას უნდა პრეზიდიუმში ყოფნა.

კი, ბატონო, მე დავჯდები ბოლო რიგში, არ მინდა არაფერი. შეიძლება ხმამაღლა ვამბობ, მაგრამ მე მყოფნის ჩემი სახელი და გვარი და ის ორი სტრიქონი,

რაც დამიწერია და მაგათ რომ გამოაცალონ მიკროფონი... რომ დადგებიან და პარტია ვართო, იძახიან. თუ პარტია ხარ, ბიძია, პეტრე ხარ თუ პავლე, ასე თუ გიყვარს შენი სამშობლო, ამდენს რომ ჰპირდები ხალხს და ნახევარზე მეტს ტყუილს რომ ამბობ, გაერთიანდი, რომ მოკვდეს ნარკომანია!

არავის დაჭერა მე არ მიხარია, მაგრამ არც ყველაფრის უფლება უნდა მისცენ ამ ხალხს.

მე რომ კაზინოში დავდიორი, იმდენი არ უვლია არავის. მე არ ვარ ის კაცი, რამე დავმალო, რადგან, რაც დასამალია, მე ის არ გამიკეთებია, მაგრამ, ფაქტია, გაუბედურებულია ხალხი.

როგორც ბორის პაიჭაძის ქალიშვილმა თქვა: საქართველო არის ბორდელი და საქართველო არის მეორე ლას-ვეგასი.

ბევრი კარგი რამ გააკეთა ამ მთავრობამ, მაგრამ მე არ მაინტერესებს უკვე ის კარგი, რადგან ამის მიღმა ერი მიდის საბოლოო განადგურებამდე, როგორც ზემოთაც ვთქვი, ეს არის ყულფი.

ანთროპოლოგიურად დააკვირდი — ახალგაზრდები რომ გამოდიან, რას ჰგვანან?! სიმახინჯე იწყება სულიდან, ამიტომ ერთხელ კიდევ მოვუწოდებ ყველას, თუ ვინმეს სურვილი ექნება, აგერ ვზივარ მე, სახლში, მამაშზე ერისთავივით სიბნელეში, შეუძლიათ დამიკავშირდნენ და ერთადერთი, რაც შემიძლია, ისაა, რომ რუსთაველის თეატრში, ან სადმე რაიმეს მოვახერხებ, რომ ბირთვი შეიკრას, ჩამოყალიბდეს გეგმა, მარტო ტლიკინისთვის კი არ შევიკრიბოთ და წივილ-კივილისთვის, ან ბოღმების გადმოსანთხევად, არამედ საქმისთვის და თითო კაცმა თავის თავზე 100 კაცი აიღოს. ისეთები კი არა, გამოვლენ იქიდან და მერე წავლენ რესტორანში, თავი უნდა დააკლა, თუ გინდა, რომ გადარჩეს შთამომავლობა.

გამოდის გოგო, ტუტუცი, რომელიც ამბობს, რომ 10 კაცთან ერთდროულად ჰქონდა სექსუალური ურთიერთობა და ამბობს, რომ ეს „მარში“ რა არის?

არ არიან საქართველოში კაცები, არა!

ჩვენი ხნის ხალხი მიდის ნელ-ნელა, ამათ კი თავის გადადება არ უნდათ. ნახეთ, საით მიდის ამათი განათლება — მენეჯმენტი, ბანკის ისა, ესა... ლაპარაკიც აღარ მინდა...

ამას წინათ ზვიად რატიანს მოვუსმინე და მთელი ის შეურიგებელი მრისხანება, რაც იყო ჩემში, ჩაქრა. ნორმალურად ილაპარაკა კაცმა... რაც შეეხება დანარჩენებს, ბოდიშს ვიხდი, მე მატლებზე ლაპარაკი არ მინდა. მატლებზე! ვისაც შნო აქვს, თავის ბერძენიშვილებიანად, მოვიდნენ და დამიდჯნენ. ეგენი წერენ ტექსტებს და მე ვწერ ლექსებს.

თუ შნო აქვთ, ღია ეთერში დაჯდნენ, რომ ტლიკინობენ. ლექსი დადონ, ლექსი! მე დავუდებ ჩემსას. მაგრამ ჩემთან ვერ დადგებიან გვერდზე. ნულები არიან ესენი.

ბაბუაჩემის ბებიას უყურონ ამერიკის სენატორებმა. დამთავრდეს უნდა ერთხელ და სამუდამოდ, რას იტყვის სენატორი და მე აქ უნდა ვკანკალებდე შიშით, შენს ქვეყანას რაც სჭირდება, ისე უნდა ილაპარაკო.

რამდენჯერ მითქვამს, ყველაფერი კი არ მომწონს რაც „ობიექტივში“ შუქდება, მაგრამ ახლა რასაც აქ ვლაპარაკობ, ვინ მათქმევინებს სხვა ტელევიზიაში?! ეს არის მიღწევა.

ზოგიერთ ჟურნალისტს ჰგონია, რომ ჟურნალისტიკა არის ის, რომ იყო უწიგნური, თავხედი, ტუჩებგადმობრუნებული, ყველაფერზე ხელის მომწერი, ათას ღობეზე გადამხტარი, ნებისმიერი რაიმეს მთქმელი.

ვის ელაპარაკებიან ესენი?!

ნინო რომ არის, ჟიჟილაშვილი. განათლებული გოგოა, მაგრამ პროფესორია თუ აკადემიკოსის დეიდაა, ჩასაფრებული მტერია და ბენდუქიძის გამხმარი ყვავია. მტრები არიან ეგენი და მისნაირი ჟურნალისტები.

ნახეთ, რა ხალხი მოაგროვეს ერთად?!

ათქვიფეს „იმედი“ და „რუსთავი-2“.

რატომ უნდა მომილოცოს ვიღაცა იმან მე, ვერ ვხვდები, როცა ვუყურებ „იმედის“ გადაცემებს, მგონია, რომ ვენდისპანსერიდან მიდის გადაცემები.

რომ გადმოყრიან ლაჯებს და მერე მეუბნებიან, ნუ მაშტერდებიო.

ეს მაია ასათიანი ლამის რომ გადმოხტეს ეკრანიდან. ცოტა ჭკუას მოუხმონ, მაგ უბედურებმა, მაგრამ მე ვარ ნონ-გრატა, არ შეიძლება არსად ჩემი გამოჩენა. არც მაინტერესებს. კისერი უტეხიათ.

ხომ ვიომე. გაჩერებას კიდევ არ ვაპირებ.

ზოგიერთს ხომ მაგრად მოხვდა ცხვირში ჩემი „მუშტი“?!.

ცოტა წვლილი მეც მიმიძღვის იმაში, ის გიჟი და გადარეული რომ დარბის უკრაინაში. ამათ კიდევ არ მოვასვენებ, მაგრამ სატელევიზიო გადაცემებს იმიტომ

ვუყურებ, რომ მე უნდა ვიცოდე, სადამდე შეიძლება გარყვნან საზოგადოება და ერი და სადამდე შეიძლება ეს გაგრძელდეს.

ეს ყველაფერი მანამდე იქნება ასე, სანამ ჩვენს ხელისუფლებას კონცეპტუალურად არ ექნება იმის უფლება, თავისი გზა, მიმართულებები, პოლიტიკური ორიენტაცია თვითონ ჩამოაყალიბოს.

ძალიან დიდი საშიშროების წინაშე დგას მსოფლიო. ამიტომ სწორია ის, ვინც ცდილობს, რომ ბეწვის ხიდზე ფრთხილად გავიაროთ, მაგრამ ქვედა რეგისტრებში შეიძლება, რომ უფრო ეფექტურად იმუშაონ.

წეღან კახი ვახსენე და ხმა-

მაღლა ვაცხადებ — მაქვს მისი იმედი.

მთავრობაშიც არის რამდენიმე მინისტრი, რომლებსაც ძალიან დიდ პატივს ვცემ. სუფთა ხალხია, ნორმალური ხალხი.

ძალიან არ მიყვარს გიორგაძე (სპორტის, კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი — ი.კ.). არაერთხელ გამიკრიტიკებია, იმიტომ რომ, რაც მე ლაშა ბაქრაძემ მაკადრა... ეს მატლები რომ გამოდიან და დედამისზე რომ აღგზნება ეწყებათ, იმათ გავუწიო ანგარიში თუ იმას, მშობლის „ჩაძაღლება“ რომ უნდა? ეს არის მწერლობა?

თამარ ლებანიძეა ერთი, იმხელა ყბებით გამოდის... გამომცემლობებს ვერ მიხედეს, გამომცემლობებს. ეს ის სფეროა, საიდანაც იწყება ყველა უბედურება.

მაგრამ ყველაზე საზიზღარი კაცი დღეს, პირადად ჩემთვის, რეზო ამაშუკელისთვის, ბოკერიაზე და სხვებზე აღარაფერს ვამბობ, ხელი არ ამიკანკალდება, ამას ვაცხადებ მე, ჰუმანისტი პოეტი, რომ ყველაზე გათახსირებული კაცი არის მარგველაშვილი. ეგ არის ცენტრიფუგა, რომელიც ნელ-ნელა ისრუტავს, ადრე ხომ ქსოვდა ბებიამისის ნიფხავს, ახლა აბლაბუდას ქსოვს.

დარწმუნებული ვარ, ისევ პრეზიდენტობისთვის იომებს მარგველაშვილი, მაგრამ თუ ცოცხალი დავრჩი, მარტო მე მოვუღებ ბოლოს მაგას.

ჩემი არც დეიდაშვილია, არც არავინ, ბიზნესი მე არ მაქვს და არაფერი, მაგრამ პრეზიდენტად ერთი ადამიანი მინდა, რომელიც ვაჟკაცია, განათლებულია, სუფთა, ქართულად უძგერს გული. გამოვცადე უკვე არა მხოლოდ მე, არამედ მთელმა ერმა და მაშინ, როდესაც ირაკლი ღარიბაშვილმა უარი თქვა ერთსქესიანთა ქორწინებაზე, მაშინვე მივხვდი, რომ იქედან გაუშვებდნენ.

დიდგორზე რომ ავიდა, გახსოვთ, რა ილაპარაკა? ღრანჭმონგრეული ხიდაშელიც რომ იქ იყო?!

ერთადერთი კაცია, რომელიც გაუშვეს და მისხალი ბოროტება არ ჩაუდვია გულში.

ერთხელ რა მითხრა, იცი? — კვირიკაშვილი კარგი ბიჭიაო. ეს იყო ჩემთვის უკვე კაცობის მწვერვალი.

თუ გახსოვთ, სურამში იყო სულიერად ავადმყოფების დაწესებულება. ყველაფერი იმის შემყურე, რაც ჩვენს გარშემო ხდება, მე წარმოვიდგინე საკუთარი თავი იქ — ქუთაისისკენ მანქანებით მიმავალი დეპუტატები რომ ჩაივლიან მანქანებით და მე რომ ვიქნები გადმოყუდებული დაწესებულებიდან ზოლიანი პიჟამით, არ დამაშტერდეთ!!

მოამზადა
ირანდა კალანდაძემ

დონალდ ტრამპი: ჰილარი კლინტონის ადგილი ციხეშია

წელიწადზე ოდნავ მეტი დრო გავიდა, რაც ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი დონალდ ტრამპი მოვალეობის შესრულებას შეუდგა. თუმცა ბრძოლა მის წინააღმდეგ ჯერ კიდევ საპრეზიდენტო არჩევნებამდე, 2016 წლიდან დაიწყო. ბრალდებები, იცოცხლეთ, მრავლად იყო. ტრამპის მოწინააღმდეგეთა ბანაკში იმასაც ამტკიცებდნენ, რომ არჩევნებში მან რუსეთის დახმარებით გაიმარჯვა. საკუთარი ქვეყნის პრეზიდენტს ლამის უცხო ქვეყნის აგენტად აცხადებდნენ. ბოლოს იქამდე მივიდნენ, რომ ტრამპის გონებრივ შესაძლებლობებშიც კი დაეჭვდნენ და მისი სამედიცინო შემოწმებაც მოითხოვეს.

თეთრი სახლის წარმომადგენლები ჯერ კიდევ შარშან აცხადებდნენ, რომ ტრამპი თავს არავის დაუხრის და ყველას საკადრის პასუხს გასცემსო. სწორედ გასულ კვირას განახორციელა მოწინააღმდეგეებზე დონალდ ტრამპმა

საპასუხო დარტყმა, რითაც არათუ გაანეიტრალა მასზე განხორციელებული თავდასხმები, არამედ, ფაქტობრივად, კონტრშეტევაზე გადავიდა.

გასული კვირის მიწურულს სენატის დაზვერვისა და უსაფრთხოების კომიტეტის ხელმძღვანელმა დევიდ ნუნიენსმა დონალდ ტრამპის თანხმობით გაასაჯაროვა მოხსენება. გავრცელებული დოკუმენტიდან ირკვევა, რომ გამოძიების ფედერალური ბიუროს, იუსტიციის სამინისტროსა და სპეცსამსახურების ხელმძღვანელებმა უფლებამოსილებას გადაამეტეს. უფრო მეტიც, ტრამპის საარჩევნო შტაბის წევრებზე უკანონოდ ახორციელებდნენ სატელეფონო საუბრების მოსმენას, თვალთვალს. მათი ძირითადი ამოცანა გახლდათ, როგორმე მოეძებნათ ე.წ. „რუსული კვალი“, თითქოს რუსები ეხმარებოდნენ ტრამპს არჩევნებში. ამისთვის ბრიტანელი აგენტიც გამოიყენეს. ფაქტობრივად, მათ გაყალბებული მონაცემები წარუდგინეს სასამართლოს, რისი მეშვეობითაც მიიღეს სანქცია უკანონობის გადასაფარად.

საქმეში პრესაც ჩართეს, რომლის წარმომადგენლებიც რეგულარულად გაიძახოდნენ არჩევნებში რუსეთის ჩარევაზე. თუმცა დამამტკიცებელი არგუმენტები მათ არასოდეს წარმოუდგენიათ. ტყუილად როდი გამოუცხადა ცრუ ამბების გამავრცელებელ პრესას ტრამპმა ინაუგურაციის პირველივე დღეს ფაქტობრივად, ბრძოლა. თუმცა ცრუ შეტევები დღემდე არ წყდება.

მოხსენებიდან ირკვევა, რომ ყოველივე ამის ინიციატორი და შემკვეთი კლინტონების ოჯახია. ჰილარის საარჩევნო შტაბმა შუამავალი ორგანიზაციების მეშვეობით სოლიდური თანხა გადაიხადა, რათა ტრამპის წინააღმდეგ აეგორებინათ „შავი პიარი“, როგორმე არჩევნებში რომ გაემარჯვა. საინტერესოა ის გარემოებაც, რომ ხალხი, რომლებიც ამ ფარსში მონაწილეობდა, სპეცპროკურორ მიულერის (რომელიც განვლილ არჩევნებში „რუსულ კვალს“ ეძებს) საგამოძიებო ჯგუფში მუშაობენ. სავარაუდოდ, ამიტომაც იყო, რომ მოხსენების გამოქვეყნების შემდეგ მთავარი კითხვა იყო — განხორციელდებოდა თუ არა საკადრო ცვლილებები. თუმცა ამ თემაზე ჯერ არ საუბრობენ.

ჰილარი კლინტონის მხარდამჭერი დემოკრატიული პარტია მოხსენების გამოქვეყნების შემდეგ შეშფოთებულია, თუმცა რაიმე კომენტარი არავის გაუკეთებია. მომხდარს დონალდ ტრამპმა ქვეყნის სირცხვილი უწოდა. აქვე გასახსენებელია წინასაარჩევნო პერიოდში ტრამპის გამონათქვამი — „...ჰილარის ადგილი ციხეშიაო...“ თუმცა ინაუგურაციაზე ჰილარის, ფაქტობრივად, ხელი გაუწოდა და შერიგება შესთავაზა, მაგრამ ამბიციურმა ქალბატონმა არ მიიღო. საინტერესოა, ასრულდება თუ არა ტრამპის დანაქადნი და დაეკისრება თუ არა კლინტონს პასუხისმგებლობა. აღსანიშნავია, რომ მსგავს სკანდალს პრეზიდენტ რიჩარდ ნიქსონის კარიერა შეეწირა. ამჯერადაც ჰილარი კლინტონს ტრამპის განეიტრალება სპეცსამსახურების ხელით სურდა, მაგრამ...

დონალდ ტრამპი ხშირად ამბობს, რომ რუსეთთან ურთიერთობის გაუმჯობესება სურს. თუმცა ამას, პრაქტიკულად, ვერ ახერხებს. გასულ კვირას აშშ-ის ფინანსთა სამინისტრომ გამოაქვეყნა რუსი ჩინოვნიკებისა და ბიზნესმენების სია, რომლებსაც, შესაძლოა, სანქციები დაუწესონ. ნუსხაში რუსეთის მთავრობის მთლიანი შემადგენლობაა პრეზიდენტ პუტინის გამოკლებით. როგორც ამბობენ, არსებობს მეორე, საიდუმლო სიაც. სახელმწიფო დეპარტამენტში აცხადებენ, რომ აღნიშნული ჩამონათვალი მხოლოდ შიდა მოხმარებისთვის არის განკუთვნილი, რათა ქვეყანაში არსებული დაძაბულობა როგორმე განეიტრალდეს. ტრამპი რუსეთთან ურთიერთობის გამწვავებაზე არ წავაო.

მოსალოდნელ სანქცირებულ პირთა გარდა გასულ კვირას აშშ-ში გამოქვეყნდა ქვეყნის ახალი სამხედრო დოქტრინა. ექსპერტების შეშფოთებას იწვევს ის ნაწილი, სადაც ნათქვამია, რომ აშშ უფლებას იტოვებს, გამოიყენოს ბირთვული იარაღი, თუ ამას საჭიროდ ჩათვლის. ასევე ბირთვულ იარაღს გამოიყენებენ მაშინაც, თუ მოხდება ქვეყანაზე ან მის მოკავშირეებზე თუნდაც არაბირთვული იარაღით შეტევა. ექსპერტები აღნიშნავენ, რომ ბირთვული ომის შეჩერება შეუძლებელი იქნება. დოქტრინაში გაწერილია ასევე, თუ როგორ წარიმართება ომი ჩინეთთან და რუსეთთან. ამერიკელი მაღალჩინოსანი სამხედროების თქმით, ორივე შემთხვევაში საბრძოლო მოქმედებები ევროპიდან უნდა დაიწყოს.

ექსპერტების განცხადებით,



მსოფლიოში დღეს არნახულად გაურკვეველი ვითარებაა და აღნიშნულმა დოქტრინამ შესაძლოა, გაზარდოს სამყაროში ფართომასშტაბიანი ომის ალბათობა. ამერიკელი პოლიტოლოგები აღნიშნავენ, რომ დოკუმენტი არა სამხედრო დოქტრინა, არამედ სამხედრო ძალების არსებული მდგომარეობის მიმოხილვაა, სადაც ნათქვამია, რომ აუცილებელია სამხედრო არსენალის მოდერნიზირება, რისთვისაც ტრილიონ 200 მილიარდი დოლარი დაიხარჯება (დღეისათვის აშშ-ის სამხედრო ბიუჯეტი 700 მილიარდი დოლარია).

საყურადღებოა ამერიკელი პოლიტოლოგის დიმიტრი საიმსის მოსაზრება დღევანდელ სიტუაციაზე: „დონალდ ტრამპის წინაღმდეგ ბრძოლა კიდევ რომ გაგრძელდება, ფაქტია. ამერიკის დღევანდელი ადმინისტრაცია ფრთხილად ეკიდება სანქციების საკითხს, რადგან კარგად ესმის, რომ შეიძლება უკან ბუმერანგივით დაუბრუნდეს. რაც შეეხება სამხედრო დოქტრინას. ტრამპი პოლიტიკაში პირდაპირ ბიზნესიდან მოვიდა, ამიტომაც ზერელედ უყურებდა ნატოსა და ევროკავშირის მნიშვნელობას. მას აუხსნეს, თუ ვის შეუძლია რეალური სამხედრო წინააღმდეგობა და ზარალი მიაყენოს ამერიკას. ასეთი ქვეყნები ჩინეთი და რუსეთია, ამიტომაც შეცვალა საკუთარი დამოკიდებულება ამ ორგანიზაციების მიმართ. დღევანდელ კონგრესში არსებული ვითარება, სიმართლე გითხრათ, მეც მაღელვებს. ზოგიერთი კონგრესმენი მიიჩნევს, რომ მსოფლიოს პარლამენტარია. თუმცა რაიმე პასუხისმგებლობის აღება არ სურთ, სხვას აკისრებენ. ამიტომაც ფრთხილობს ადმინისტრაცია. ისეთ ქვეყნებში, როგორიც ავღანეთი, ლიბანი, ერაყი, სირიაა, ჯარებით შესვლა ადვილია, მაგრამ გამოსვლაა ძნელი. ერაყში ინგლისელთა წაქეზებით შევედი თ. თუ გადავხედავთ ბრიტანელთა წვლილს ერაყის ომში, დავინახავთ, რომ მიზერულზე მიზერულია. ამით იმის თქმა მსურს, რომ კონგრესში ხშირად გადაწყვეტილებებს, სამწუხაროდ, ყოველგვარი ანალიზის გარეშე იღებენ. დღეს აშშ-რუსეთის ურთიერთობა ჩიხშია შესული, საიდანაც გამოსვლა იოლი არ არის, მაგრამ აუცილებელია. ჩვენს ქვეყანაში პოლიტიკური სიტუაცია, სამწუხაროდ, არანორმალურია. ვაშინგტონში პოლიტიკური დაპირისპირება მალე უნდა დასრულდეს, რათა ქვეყანა არ დაზარალდეს. თუმცა იოლი ნამდვილად არ იქნება. ვნახოთ, როგორ ჩაივლის წელს შუალედური არჩევნები“.

მსოფლიოში უაღრესად დაძაბულ ვითარებაზე ისიც მეტყველებს, რომ ამერიკაში ოფიციალური ვიზიტით რუსეთის დაზვერვის, ფედერალური უსაფრთხოების ბიუროსა და დაზვერვის მთავარი სამმართველოს (სამხედრო) პირველი პირები იმყოფებოდნენ. დიმიტრი საიმსის თქმით, ისინი უმაღლეს დონეზე მიიღეს. მსგავსი პირების ვიზიტები ყოველთვის გასაიდუმლოებულია, მაგრამ ამჯერად რუსული სპეცსამსახურების პირველი პირები ჩვეულებრივი რეისით ესტუმრნენ ამერიკას. „ყოვლისმცოდნე“ ამერიკელმა ჟურნალისტებმა რუსი ძალოვანების ქვეყანაში ყოფნის შესახებ რუსული საინფორმაციო საშუალებებით შეიტყვეს, რამაც გააღიზიანა, როგორც ჩვენი კოლეგები, ასევე კონგრესმენები.

გასულ კვირას ბოსტონში გარდაიცვალა ფერადი რევოლუციების შემოქმედი შარპი. იქვე, ბოსტონში მას ჰქონდა ე.წ. პოლიტტექნოლოგიების ინსტიტუტი, სადაც დაფინანსებას სხვადასხვა ფონდებიდან იღებდა. სწორედ მისი დირექტივებით განხორციელდა მსოფლიოში ყველა სახელმწიფო გადატრიალება, რომლებიც შეფუთული იყო დემოკრატიისთვის ბრძოლის იდეით. მისი პირმშო იყო ასევე ჩვენთან, საქართველოში მომხდარი სახელმწიფო გადატრიალება, რომელიც „ვარდების რევოლუციად“ მოინათლა. ე.წ. ფერადი რევოლუციები მას ომის შემცვლელად მიაჩნდა. შარპი კი გარდაიცვალა, მაგრამ, სამწუხაროდ, მისი დანატოვარი საქმე ცოცხლობს.

გია ბურდული
551 71 27 07

„კანონიერი ქურდების“, „კანონგარეშე ქურდების“ და „დიდბერკეტიანის“ შესახებ

ეთერ ლაცაბ

ქურდული სამყაროსთვის კანონები მკაცრდება, გაიგეთ? ახლა, კანონიერი ქურდის შეწუხება და თქვენი უსაქმური საქმეების გარჩევა კანონით დასჯადი გახდება. ამოასუნთქეთ ეს კანონიერი ქურდები, დაასვენეთ.

აკი, კანონიერი ქურდები საქართველოში არ გვყავსო? აბა, რისთვის და ვისთვის ვამკაცრებთ კანონებს?

იგივე ლოგიკით, ხომ შეიძლება ავკრძალოთ საქართველოში ოკეანის წყლის სასმელად გამოყენება, ან ქუჩაში ჟირაფის „ნამორდნიკის“ გარეშე გამოყვანა, ან უკეთესი, კონსტიტუციაში შევიტანოთ, რომ არც ერთ, ყველაზე პროამერიკელ პრეზიდენტსაც კი არ ჰქონდეს უფლება, რომ ბროდვეი ჭავჭავაძეს მიწისქვეშა გადასასვლელით დაუკავშიროს.

კანონიერი ქურდების ამბავი გავიგე, არ გვყავს, მაგრამ მკაცრად ვექცევით, არ არსებობენ, მაგრამ მათი შეწუხება ისჯება — მაგრამ კანონგარეშე ქურდებს რა ვუყოთ? კანონგარეშე ქურდებს როდის ვუმკაცრებთ კანონებს?

რომელი ერთი კანონგარეშე ქურდი ჩამოგითვალოთ, გაუკეთებელ საქმესა და ძილში რომ იღებს, ჩემი 12 საათიანი მუშაობით გადახდილი გადასახადებიდან, ხელფასსა და პრემიას, ხელფასსა და დანამატს, ხელფასსა და მე-13 ხელფასს.

ისე, ეს მე-13 ხელფასი მარტო ჩემთვის რატომ იქნება თარსი, ერთხელ მეც რომ ეგრე დავითარსო, არ გინდათ?

ხოდა, რომელი ერთი კანონგარეშე ქურდი დაგისახელოთ ქრთამს რომ გვძალავს იმ საქმის გასაკეთებლად, რომელი საქმისთვისაც ხელფასს ვუხდით, რომელ ერთს მოვარიდო ჯიბე. ჯიბის კანონგარეშე ქურდებზე როდის გამკაცრდება კანონი, ბატონებო?

ისე, რაკი ბარემ მანც მკაცრდება კანონი, „ნამორდნიკის“ გარეშე პოლიტიკის არენაზე რომ აღარ დავუშვათ პოლიტიკური ფიგურები, არ შეიძლება? გადაგვჭამეს. ბატონო, გადაგვაბალახეს. თან ისე, რომ იქეთ ამაში ვუხდით ფულს, იქეთ უნდა ვემადლიეროთ.

სამაგიეროდ, არის ერთი ნიუანსი, ამ კანონგარეშე ქურდების შეწუხებას კანონი არ გიკრძალავს — შეგიძლია დაუძახო, სთხოვო, მოიყვანო და გაარჩევინო ან გაურჩიო საქმე, აუხსნა შეგიძლია და იმდენ ხანს შეგიძლია ესაუბრო, რამდენიც გაგეხარდება — კანონი არ გიკრძალავს. მთავარია, თუ იპოვნე; თუ იპოვნე და არ ძინავს; თუ იპოვნე, არც ძინავს და ფხიზელიცაა; თუ იპოვნე, არც ძინავს, ფხიზელიცაა და მიახლოებაც მოახერხე... დაცვა თუ გაარღვიე.

დანარჩენი აქაც იგივეა — ამასაც, როგორც კანონიერ ქურდს, მოწიწებით უნდა უსმინო, უნდა დაეთანხმო, მის სულელურ ხუმრობაზე უნდა გაიცინო, რომც არ გაგეცინოს, არ უნდა შეაწყვეტინო. ესეც იმ კანონიერი ქურდივით „გებლატავება“, ესეც რაღაც დამახასიათებელი ტერმინოლოგიით გესაუბრება.

პრეზიდენტი უძახე შენ და ნარკომანები და ბარიგები მომპარა ციხიდან, ვისკი მომპარა რეზიდენციიდან, კარტოფილი მოპარა უკრაინის პრეზიდენტს, რა უნდა ველაპარაკო – ფილოსოფიაც კი მომპარა.

– ბიჯო, გევიგე სიდედრთან უთანხმოება გქონია.

– ხო, აგრარულ საკითხებში ვერ ვთანხმდებით.

– მაგი რაფერ?

– იმას უნდა მე ჩამდოს მიწაში, მე პირიქით.

რაცხა, ასე ვიყავით თავიდან, ახალ არჩეული რომ ბრძანდებოდით და ახლა მიწიდან გელაპარაკებით უკვე. თქვენ კიდევ მეორე საპრეზიდენტო ვადით აპირებთ მოსვლას და ამან კიდევ ერთი ანეგდოტი გამახსენა:

სამხედროს მასწავლებელი გურულ ბაღანას:

– დავუშვათ ერთ მეტრში აგიფეთქდათ ყუმბარა, რაფერ მეიქცევი?

– თქვენი მტერი მეიქცა ისე, მე რომ მევიქცევი, მასწავლებელო!

ჩემი ყუმბარა ხართ თქვენ, ერთი აფეთქება მაშინ აფეთქდით პრეზიდენტად რომ აგირჩიეთ, მეორე აფეთქება მაშინ — ნაცების რეჟიმზე ვერ ვისაუბრებ, მეუხერხულებაო, მაგას ჯობია ვანოს საკანი შევუცვალოთ ხედი არ მოსწონსო, რომ გვითხარით, მესამე აფეთქება მდიდრულ სექსში აფეთქდით და სიგარა დააყოლეთ, არ უხდება მდიდრულ სექსს პაპიროსი, მეოთხე აფეთქება ვეტოში აფეთქდით, აი, დაახლოებით ისე, პირველი ლედი რომ ფეთქდებოდა „ნიჭიერში“, მეხუთე აფეთქება შეწყალებისას აფეთქდით და უთვალავ ნაწილებად დაიშალეთ და დაგვაბოლეთ... ხოდა, ახლა თუ უფრო ახლოს მოხვალთ და საპრეზიდენტო არჩევნებშიც აფეთქდებით, ისე მეიქცა თქვენი მტერი, მერე მე რომ მევიქცევი.

გამიგია, თუ გინდა ადამიანი მოიშორო, ფული უნდა ასესხოო და რომ გასესხოთ ცოტა, ნეტაი?

მიხო ეუბნება მაროს:

– დედაკაცო, ღამით რომ მამინდება ღვინო, გამაღვიძე.

– ქა, მე რა გავიგო, შენ როდის მაგინდება ღვინო?

– შენ გამაღვიძე, მე ღვინო სულ მინდება!

ასე ხართ დაახლოებით, გღვიძავთ თუ გძინავთ პრეზიდენტობა სულ გინდათ, ჭამთ თუ სვამთ, მაინც რეზიდენციაზე ფიქრობთ.

ქალბატონმა ნინო ბურჯანაძემ ბრძანა: დიდი ბერკეტი აქვს პრეზიდენტს და ვერ იყენებსო.

რა აქვს დიდიო?

სად აქვს, ქალბატონო, დიდი ბერკეტი? სად დაუნახეთ, გაფიცებთ?

მაგას რამე დიდი აქვს და ვერ იყენებს?

არ მჯერაა!

უნდა, ძალიან უნდა დიდბერკეტიანს საარჩევნო კამპანიის დაწყება, იმდენად უნდა, რომ ვინც ხმა გასცა, ყველას მის წინააღმდეგ მიმართული საარჩევნო კამპანია დააბრალა.

არ მინდა მე პრეზიდენტობა, მაგრამ საქართველოს თუ დასჭირდება თაფლს წავისმევ შიშველ, დიდბერკეტიან ტანზე და საარჩევნო სიაში ისე ჩავჯდებიო.

და მერე უცბად გაირინდა, წამოფაკლდა, წამწამები აახამხამა და – ოპოზიციისთვის მე საინტერესო კანდიდატურა ვიქნებიო.

რა ვიცი, ქალი რომ ასე მივიდეს მამაკაცთან და უთხრას: შენთვის მე საინტერესო კანდიდატურა ვიქნებიო – იმნაირს დაუძახებენ ეგრევე.

მეტიც, კაცი რომ მივიდეს კაცთან და შესთავაზოს თავი, საინტერესო კანდიდატურა ვარ შენთვისო — იმასაც იმნაირს დაუძახებენ და პოლიტიკაში მოსულა, ხო?

ოპოზიციის კანდიდატობა გსურთ, ბატონო პრეზიდენტო?

გაერთიანებული ოპოზიციის კანდიდატობა გსურთ, თუ მხოლოდ ნაციონალების?

ფასიც დაასახელეთ, ბარემ ფასიც... მისაღები ხომ უნდა იყოს ფასიც და საფასურიც ოპოზიციისთვის.

ზამთარი მოახლოვდა და მიხო წავიდა მაღაზიაში გამათბობლის საყიდლად.

– რა ღირს?

– 250 ლარი, ბატონო.

რა ამბავია, 100 ლარად იმდენ ანალგინს ვიყიდი, მთელი ზამთარი ოფლად ვიქნები გაწუწული.

ასე არ მოგივიდეთ და ძალიან არ ეძვიროთ, თორემ ხომ იცით, ეგენიც კაი „კანონგარეშები“ არიან.

ისე, ნაციონალებს თუ რამეს აახევთ, ყველა ცოდვა მიგეტევებათ, ხომ იცით: ქურდის ქურდი ცხონდება.

მხოლოდ იმაზე ვდარდობ, ეს დიდი ბერკეტიც მიგაქვთ ნაციონალებთან, თუ...

ქმარი ცოლს: – ნახე, რა მშვენიერი ამინდია.

ცოლი ყურადღებას არ აქცევს. ქმარი ისევ:

– ხო მშვენიერი ამინდია?

– კი, მშვენიერი ამინდია და მერე?

– ხომ მეუბნებოდი ერთ მშვენიერ დღეს მიგატოვებო?

ნახეთ, რა კარგი ამინდია, ბატონო პრეზიდენტო!

სამყაროს აღსასრული ახლოვდება: განკითხვის დღის საათი ისევ წინ გადასწიეს

ორი წუთი აპოკალიფსამდე

მელორ სტურუა:

„სამყაროს აღსასრულის საათი“ (The Doomsday Clock) — ჩვენი პლანეტის შესახებ მეცნიერთა განგაშის სიმბოლო — იანვრის ბოლოს 30 წამით წინ გადაადგილდა და გაშეშდა შუაღამემდე, ანუ ბირთვულ აპოკალიფსამდე 2 წუთით ადრე. ეს ამბავი შეგვატყობინა „მეცნიერმეატომეთა ბიულეტენმა“, რომელიც ვაშინგტონში გამოიცემა. „სიმბოლური საათის სიმბოლური ისრები ასე ახლოს შუაღამესთან მხოლოდ 1953 წელს იყო, გაგანია „ცივი ომის“ დროს.

რამ უბიძგა აპოკალიფსის ისრებს გადაადგილებისკენ 2017 წელს? მეცნიერთა აზრით, მსოფლიო ლიდერებმა ვერ შეძლეს ეფექტიანად მოეგერიებინათ ბირთვული ომისა და კლიმატის ცვლილებების საფრთხეები — ამით დასუსტდა დედამიწელთა უსაფრთხოება 2016 წელთან შედარები თ. „მეორე მსოფლიო ომის პერიოდიდან მოყოლებული ჩვენი პლანეტის საფრთხის დონემ მაქსმალურ ზღვარს მიაღწია“, — წერენ ბირთვული ფიზიკის სპეციალისტები, რომლებსაც ეკისრებათ პასუხისმგებლობა „სამყაროს აღსასრულის საათის“ მაჩვენებლებზე. თავიანთი შიშისა და გაფრთხილების მტკიცებულებებად მოჰყავთ ჩრდილოეთ კორეის ბირთვული პროგრამა, წინააღმდეგობა ამერიკის შეერთებულ შტატებსა და რუსეთს შორის, დაძაბულობა სამხრეთ ჩინეთის ზღვაში, ბირთვული არსენალის ზრდა პაკისტანსა და ინდოეთში...

მეცნიერები გვაფრთხილებენ აგრეთვე, რომ აუცილებელია შემცირდეს სათბურის ეფექტი, რომელიც ჩვენს პლანეტაზე კატასტროფულ დათბობას იწვევს. ისინი ასახელებენ დემოკრატიული პროცესის ტექნოლოგიურ დარღვევებსაც, მაგალითად ისეთს, როგორიცაა არჩევნებით მანიპულაცია დემოკრატიისადმი რწმენის შესარყევად. მეცნიერთა დასკვნის თანახმად, 2017 წელს „ამერიკის შეერთებულმა შტატებმა დათმო ხანგრძლივი დროის განმავლობაში მსოფლიო საზოგადოებრიობის ლიდერის

როლი, იგი ნაკლებ ძალისხმევას იჩენს საყოველთაო გადაწყვეტილებების ძიების გზაზე, აგრეთვე მედგარ წინააღმდეგობას არ უწევს გლობალურ პრობლემებს“.

დესტაბილიზაციის გამომწვევ სხვადასხვა ფაქტორთან ერთად მეცნიერები ასახელებენ „დონალდ ტრამპის ხისტ რიტორიკას“ და ჩრდილოეთ კორეის ლიდერ კიმ ჩენ ინთან მის პოლემიკას, ირანთან გარიგების უარყოფას და მისი ადმინისტრაციის გეგმებს, რომლებიც ამერიკული ბირთვული არსენალის გაზრდას ითვალისწინებს.

„არც ჩვენი მოკავშირეები, არც ჩვენი მოწინააღმდეგები არ არიან იმ მდგომარეობაში, რომ განჭვრიტონ ამერიკის მოქმედებები ან გაიგონ, როდის არის აშშ-ის განცხადებები რეალური, როდის — მხოლოდ რიტორიკა, — წერენ მეცნიერები თავიანთ „ბიულეტენში“. — დაკნინდა და ურთიერთლანძღვის დონემდე დაეშვა საერთაშორისო დიპლომატია და კიდევ უფრო სახიფათო გახდა საერთაშორისო ვითარება... ახლანდელ სიტუაციას სწორედ ამგვარად ვაფასებთ, რაც ხაზს უსვამს საფრთხის გარდაუვალ და დაუყოვნებლივ ხასიათს“.

ვიმეორებ, უკანასკნელად „ბირთვულ შუაღამეს“ ისრები ყველაზე მეტად მიუახლოვდა 1953 წელს, როცა ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და საბჭოთა კავშირმა თავ-თავისი ახალი თერმობირთვული იარაღი ექვსთვიანი ინტერვალით გამოსცადეს.

ეს იყო კორეასთან ომის დამთავრების წელი, აგრეთვე წელი, როცა პრეზიდენტმა ეიზენჰაუერმა საჯაროდ გამოაცხადა თავისი პროგრამა „ატომი მშვიდობისთვის“. იმ წელიწადს, იუჯინ რაბინოვიჩი, პირველი ბირთვული იარაღის შექმნის „მანჰეტენის პროექტის“ მონაწილე და „ბიულეტენის“ დამაარსებელი, წერდა: „საბჭოთა კავშირმა ამერიკაში თერმობირთვული გამოცდის შემდეგ მოახდინა თერმობირთვული აფეთქება. და მოვიდა დრო, რომლისაც ასე ეშინოდათ მეცნიერებს 1945 წლიდან მოყოლებული — დრო, როცა ორი დიდი სახელმწიფოს ხელში აღმოჩნდა ნებისმიერი სხვა ერის განადგურების ძალა“.

მეცნიერები ამბობენ, რომ მათ ბირთვული იარაღის გავრცელებისა და კლიმატური ცვლილებების (ამ ფაქტორს 2007 წლიდან აქცევენ ყურადღებას) გარდა აშფოთებთ ტექნოლოგიური ცვლის სისწრაფე. ისინი მოუწოდებენ მსოფლიო ლიდერებს, გამოიყენონ ამ ცვლილებების პოზიტიური მხარე და მინიმუმამდე შეამცირონ მათგან მომავალი საფრთხე. არსებობს არაერთი სხვა საფრთხეც: მაგალითად, იმ კომპიუტერული სისტემებში შეღწევა, რომლებითაც კონტროლდება ფინანსური და ენერგეტიკული ინფრასტრუქტურა, „ავტონომიური იარაღის“ განვითარება, რომელსაც შეუძლია მიიღოს „მომაკვდინებელი გადაწყვეტილებები“ ადამიანის ჩაურევლად და სინთეტიკური ბიოლოგიის, მათ შორის გენების რედაქტირის ბოროტად გამოყენება.

„საშინელი სამსჯავროს საათს“ ჰყავს თავისი კრიტიკოსები. ზოგიერთი მათგანის მტკიცებით, ხალხის გაფრთხილებამ, რომ მათ საფრთხე ემუქრებათ, შესაძლოა, „პოლიტიკური პარალიზი“ გამოიწვიოს. სხვები საეჭვოს ხდიან იმ მეცნიერთა დასკვნებს, რომლებიც საათის ისრებს აადგილებენ. მაგალითად, მათ გაუგონარი გულგრილობა გამოიჩინეს 1962 წელს კუბის ბირთვული კრიზისის მიმართ, რომელმაც საბჭოთა კავშირი და ამერიკის შეერთებული შტატები, როგორც არასდროს, ბირთვული ომის ზღვარს მიუახლოვა.

ლოურენს კრაუსი, არიზონის უნივერსიტეტის კოსმოლოგი და ერთ-ერთი მესაათე, ახლახან „ნიუ-იორკ ტაიმსისთვის“ მიცემულ ინტერვიუში ამბობს: „ძნელია ერთი ერთში შეადარო დღევანდელი დღე და 1953 წელი. უფრო მნიშვნელოვანია იმის ზუსტად დადგენა, რამდენად არის „საათის“ ისრები დაშორებული აპოკალიფსურ შუაღამეს. ამ თვალსაზრისით წლევანდელი წელი შარშანდელზე უფრო საშიში ხომ არ არის?“

კრაუსი აღიარებს, რომ ფეიკი ახალი ამბების ჟამს „სამყაროს აღსასრულის საათის“ კრიტიკოსებს შეუძლიათ, მეცნიერები პოლიტიკურად ანგაჟირებულებად გამოაცხადონ. „არ არის გამორიცხული, ხალხმა თქვას, რომ ყველაფერი ეს თავიდან ბოლომდე თაღლითობაა. ჩვენი ამოცანაა გავაღვივოთ საზოგადოებრივი დებატები, მოვუწოდოთ ხალხს აქტიურობისკენ. საათი გვახსენებს კაცობრიობის იმ რეალურ საფრთხეს, რომლის შესახებაც წლის განმავლობაში ჩვეულებრივ არ ლაპარაკობენ“.

ბეატრისა ფინი, ბირთვული იარაღის ლიკვიდაციის საერთაშორისო მოძრაობის აღმასრულებელი დირექტორი, რომელმაც 2017 წელს ნობელის პრემია მიიღო მშვიდობის დარგში, ამბობს: „სამყაროს აღსასრულის საათზე“ ისრების შუაღამესთან მიახლოება ნამდვილად გულისშემძვრელია, რადგან გვიჩვენებს, თუ როგორ ახლოს მივიდა კაცობრიობა ბირთვული აპოკალიფსის ტრაგიკულ მიჯნასთან. დავოსის ფორუმზე გამოსვლისას ქალბატონმა ფინმა განაცხადა: „ბოლო წლებში ბირთვული იარაღის გამოყენების რისკი უჩვეულოდ გაიზარდა. ბირთვული იარაღის განიარაღების გარეშე, ადრე თუ გვიან, ამ იარაღს გამოიყენებენ“.

„სამყაროს აღსასრულის საათი“ წიკწიკებს და გვაფრთხილებს.

ჩვენი მეგობარი დავითი

კვირა არ გავა, არ შემოგვიაროს და არ დაგვხედოს...

თუ თბილისში არ არის, სადაც არ უნდა იყოს, აუცილებლად დაგვირეკავს, მოგვიკითხავს, მოგვეფერება, გაგვამხნევებს.

საოცრად ენერგიული კაცია, ოპტიმიზმით და იმედით სავსე და როცა რედაქციასი მოდის, ჩვენც ამ ენერგიით და იმედით გვმუხტავს.

მას, პირადად, არაფერში ვჭირდებით, არაფერს მოელის ჩვენგან, უბრალოდ, იცის იმის ფასი, რასაც ვაკეთებთ... ამიტომ ცდილობს მხარში დაგვიდგეს, შეგვიძახოს და დაღლის და მოდუნების უფლება არ მოგვცეს...

განათლებული და წიგნიერი კაცია, ყველაფერს კითხულობს, ყველაფერი აინტერესებს. როგორც იტყვიან, ყველაფრის საქმის კურსშია.

და, რაც მთავარი და უპირველესია: ამ კაცს გულწრფელი სიყვარულით უყვარს თავისი ქვეყანა, თავისი სამშობლო, გულწრფელად სტკივა მისი ყველა სატკივარი, მისი ფიქრი და გონება სულ იმას უტრიალებს, რით შეიძლება ამ სატკივარს ეშველოს.

რედაქციის ერთმა თანამშრომელმა იხუმრა: ათასი ამისთანა კაცი რომ ჰყავდეს საქართველოს, ჩვენი ქვეყნის ბედის ჩარხი წაღმა დატრიალდებოდაო.

დავით ინჯიაზე გიყვებით, ჩვენს მეგობარ დავითზე, კაცურ კაცზე, უსაყვარლეს ადამიანზე...

„საერთო გაზეთის“ რედაქცია

OGP-ის აღმასრულებელ დირექტორთან შეხვედრა გაიმართა

თბილისის მერი კახა კალაძე და „ღია მმართველობის პარტნიორობის“ (OGP) აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე, საქართველოს იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანი OGP-ის აღმასრულებელ დირექტორს, სანჯაი პრადჰანს შეხვდნენ.

შეხვედრაზე საუბარი თანამშრომლობის საკითხებს შეეხო. ხაზი გაესვა, რომ თბილისი ერთ-ერთი პირველი დედაქალაქია ორგანიზაციის 75 წევრი ქვეყნის დედაქალაქებს შორის, რომელიც „ღია მმართველობის პარტნიორობას“ შეუერთდა და გამჭვირვალობის, ანგარიშვალდებულების, სერვისების ხელმისაწვდომობის კუთხით, ვალდებულებები აიღო.

კახა კალაძემ OGP-ის აღმასრულებელ დირექტორს მიმდინარე და დაგეგმილი პროექტები გააცნო, რომლებიც, მისი თქმით, თვითმმართველობის საქმიანობაში, საკუთარი რაიონის ბიუჯეტის დაგეგმვასა და გადაწყვეტილების მიღებაში მოქალაქეების მაქსიმალურ ჩართულობას შეუწყობენ ხელს.

მხარეებმა ასევე, მეხუთე გლობალური სამიტის მოსამზადებელ სამუშაოებზე ისაუბრეს. სანჯაი პრადჰაის განცხადებით, საქართველო ღია მმართველობის პარტნიორობის ქვეყნებს შორის უპირობო ლიდერია, რომლის დასტურიც არის ის, რომ საქართველო OGP-ის თავმჯდომარე ქვეყანა გახდა.

„თბილისს ექნება უნიკალური შესაძლებლობა, პარიზის მსგავსად, რომელმაც წინა სამიტს უმასპინძლა, სხვადასხვა დედაქალაქის მერები მოიწვიოს და მათთვის ღია მმართველობის მაგალითი გახდეს. მე პირადად, თბილისში ამის ყველა შესაძლებლობას ვხედავ. ამდენად, თქვენ, როგორც დედაქალაქის მერს, გაქვთ დიდი პასუხისმგებლობა და ასევე შესაძლებლობა, თქვენი ქალაქის კარი გაუღოთ მსოფლიოს დედაქალაქებს და საკუთარი წარმატება აჩვენოთ“, - მიმართა სანჯაი პრადჰაიმ კახა კალაძეს.

თბილისი „ღია მმართველობის პარტნიორობის“ გლობალურ სამიტს 17-19 ივლისს უმასპინძლებს.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის საზოგადოებასთან და მედიასთან ურთიერთობის სამსახური

მეტროში დაზარალებულებს ყველა ხარჯი აუნაზღაურდებათ

თბილისის ვიცე მერის, ირაკლი ხმალაძის განცხადებით, მეტროს სადგურ "ვარკეთილში" მომხდარი შემთხვევის შედეგად დაზარალებულებს მკურნალობის ყველა ხარჯი აუნაზღაურდებათ. მისი თქმით, დაფინანსება შეეხება როგორც მკურნალობას, ისე მედიკამენტებს. „ჩვენ რამდენჯერმე განვაცხადეთ, რომ ყველა ხარჯს, რომელსაც არ დაფარავს ჯანდაცვის სამინისტრო და საყოველთაო დაზღვევა, აანაზღაურებს თბილისის მერია. მოქალაქეების, რომლებსაც თვითონ მოუწიათ ხარჯების გაღება, კომპენსირება მოხდება. ჩვენ რამდენჯერმე ვთქვით, რომ მერიაში და გამგეობაში განცხადების წარმოდგენის შემთხვევაში მზად ვართ ეს დაფინანსება სრულად გავწიოთ. ამის შემდეგ, სატრანსპორტო კომპანიამ თავად დაიწყო კომუნიკაცია დაზარალებულებთან, რათა მოგროვდეს ინფორმაცია, თუ რა თანხებია ასანაზღაურებელი და რა მიმართულებით. ზოგს მედიკამენტები სჭირდება, ზოგს შემდეგი მკურნალობა. სრულად, რაც საჭირო იქნება, დიაგნოსტიკიდან დაწყებული მკურნალობით დამთავრებული, ხარჯებს თბილისის მერია სრულად აანაზღაურებს“, - განაცხადა ხმალაძემ.

ინტერპრესნიუსი

„საერთო გაზეთის“ იურიდიული კონსულტაცია

„საერთო გაზეთის“ მკითხველთა შეკითხვებს პასუხობს გაზეთის იურიდიული კონსულტანტი, ადვოკატი

მთვარისა კევლიშვილი.

ტელ.: 2 79 63 91; 0 790 60 64 69; 5 93 78 64 69

* * *

– მამაჩემმა სასამართლო წესით მიიღო თავისი კუთვნილი ქონება, რომელიც მაჩუქა მე. ეს ქონება კანონით დადგენილი წესით დავირეგისტრირე საჯარო წესით.რეესტრით. აქვს თუ არა უფლება კანონით ჩემს და-ძმებს, მიიღონ მემკვიდრეობა მამის გარდაცვალების შემდეგ, ჩემი კუთვნილი ქონებიდან;

– როგორც ჩანს, მამათქვენი ცოცხალია და ღმერთმა კიდევ დიდხანს აცოცხლოს.

რაც შეეხება შეკითხვას, აღნიშნულთან დაკავშირებით მოგახსენებთ შემდეგს: მამათქვენმა მის საკუთრებაში არსებული ქონება თავის სიცოცხლეშივე, თავისი ნების შესაბამისად, აჩუქა თავის ქალიშვილს. მისი ეს ქმედება გამომდინარეობს სამოქალაქო კოდექსის 524-ე მუხლიდან, რომლის მიხედვითაც, ჩუქების ხელშეკრულებით მჩუქებელი უსასყიდლოდ გადასცემს დასაჩუქრებულს ქონებას საკუთრებად მისი თანხმობი თ. ხსენებულ ქონებაზე ჩუქების ხელშეკრულება დადებულად ჩაითვალა ხელშეკრულებით განსაზღვრული საკუთრების უფლების საჯარო რეესტრში რეგისტრაციისმომენტიდან, გამომდინარე 325-ე მუხლის მე-2 ნაწილის მოთხოვნიდან. როგორც თქვენი წერილიდან ჩანს, ჩუქების დაუშვებლობის პირობა არ არსებობს, მაგრამ, ყოველი შემთხვევისათვის მე მაინც შევეხები ამ საკითხს. სამოქალაქო კოდექსში არსებობს 526-ე მუხლი, რომლის მიხედვითაც, პირს უფლება არა აქვს გააჩუქოს ქონება, თუ ქონების გაჩუქება საარსებო წყაროს უსპობს მჩუქებელს ან მის კმაყოფაზე მყოფ პირებს. თუ თვითონ მამათქვენმა ამ ქონების ჩუქებით მოისპო საარსებო წყარო ან თქვენი და-ძმა იმყოფებოდნენ მამათქვენის კმაყოფაზე და, შესაბამისად, მათ მოესპოთ არსებობის წყარო, მაშინ მათ, მამათქვენსა და თქვენს და-ძმებს უფლება აქვთ, სასამარტლო წესით მოითხოვონ ჩუქების ხელშეკრულების გაუქმება. ასევე, სამოქალაქო კოდექსში არსებობს მუხლი 530, რომლის 1-ლი ნაწილის მიხედვითაც, თუ ჩუქების შემდეგ მჩუქებელი მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა და არ შეუძლია საკუთარი თავის ან მის კმაყოფაზე მყოფი პირების რჩენა, მას უფლება აქვს დასაჩუქრებულს მოსთხოვოს გაჩუქებული ნივთი, თუ ეს უკანასკნელი რეალურად არსებობს და დაბრუნება დასაჩუქრებულს არ ჩააყენებს მძიმე მდგომარეობაში.ამავე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, გაჩუქებული ნივთის გამოთხოვა არ შეიძლება, თუ გამჩუქებელმა განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით ჩაიგდო თავი მძიმე მდგომარეობაში. ეს, სანამ მამათქვენი ცოცხალია. იმედია, მსგავსი რამ არ გემუქრებათ.

ახლა რაც შეეხება მემკვიდრეობის საკითხს მამათქვენის გარდაცვალების შემდეგ: შვილები არიან გარდაცვლილი მშობლის 1-ლი რიგის მემკვიდრეები, მაგრამ, რა თქმა უნდა, მამკიდრებლის საკუთრებაში არსებული ქონების-სამკვიდროს გათვალისწინებით. თუ მამათქვენმა მთელი ქონება თქვენ გაჩუქათ, თქვენს და-ძმებს ამ ქონებაზე მამის გარდაცვალების შემდეგ უფლებები არ აქვთ, მაგრამ თუ მამათქვენს კიდევ დარჩა სხვა ქონებაც, სამკვიდრო გაიხსნება ამ ქონებიდან და ამ დროს შეიძლება თქვენს წილში მოხდეს ნაჩუქარი ქონების ჩათვლა, გამომდინარე, სამოქალაქო კოდექსის 1445-ე მუხლიდან, რომლის მიხედვითაც, სამკვიდროს გაყოფისას თითოეული მემკვიდრის წილში ჩაითვლება იმ ქონების ღირებულება, რომელიც მან საჩუქრის სახით მიიღო მამკვიდრებლისაგან სამკვიდროს გახსნამდე ხუთი წლის განმავლობაში.

მოკლედ, თუ მამათქვენმა მის სახელზე რიცხული მთელი ქონება თქვენ გაჩუქათ, თქვენი და-ძმები მამის გარდაცვალების შემდეგ, როგორც მემკვიდრეები ვერაფერს მიიღებენ.

* * *

- მაინტერესებს ყველა სასამართლო ინსტანციაში გადასახდელი სახელმწიფო ბაჟების მაქსიმუმი.

- სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 39-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით,

სახელმწიფო ბაჟის ოდენობა:

ა) პირველი ინსტანციის სასამართლოში არ უნდა აღემატებოდეს:

ა.ა) ფიზიკური პირისათვის – 3000 ლარს;

ა.ბ) იურიდიული პირისათვის – 5000 ლარს;

ბ) სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში არ უნდა აღემატებოდეს:

ბ.ა) ფიზიკური პირისათვის – 5000 ლარს;

ბ.ბ) იურიდიული პირისათვის – 7000 ლარს;

გ) საკასაციო ინსტანციის სასამართლოში არ უნდა აღემატებოდეს:

გ.ა) ფიზიკური პირისათვის – 6000 ლარს;

გ.ბ) იურიდიული პირისათვის – 8000 ლარს.

თანამედროვეობის ყველაზე უნიკალური სკულპტურები

ყოველწლიურად ტურისტები მილიონობით სურათს იღებენ ყველაზე ცნობილი სკულპტურების გვერდით, რომელთა ავტორები მსოფლიოში სახელგანთქმული ხელოვანები არიან.

არსებობს კიდევ ნაკლებადცნობილი ავტორების სკულპტურები, რომელთა ნახვის შემდეგ გულგრილი ვერ დარჩებით.

ლას-კოლინოსის მუსტანგები

სკულპტურა მსოფლიოში ერთ-ერთი უდიდესია იმ ძეგლებს შორის, რომლებიც ცხენებს ეძღვნება. ის ამერიკის შეერთებულ შტატებში, ტეხასის შტატის ქალაქ ირვინგში დგას. ავტორებმა სცადეს, ამგვარად გამოეხატათ თავისუფლებისმოყვარე სული, რაც ტეხასის ათვისების პირველი წლებისთვის იყო დამახასიათებელი.

ლტოლვა, ანუ იპოვე საკუთარი თავი

სკულპტურა ფილადელფიაში, ამერიკაში დგას და 2000 წელს შეიქმნა. მისი ავტორი ზენოს ფრუდაკისი თვლის, რომ თანამედროვე საზოგადოებაში ადამიანი გარსშია გამოკეტილი და საკუთარი თავის რეალიზება გარკვეული წესების დაცვით უნდა განახორციელოს.

აღნიშნულმა სკულპტურამ ადამიანი იმაზე უნდა ჩააფიქროს, ვინ არის, შეძლებს თუ არა საკუთარი თავის შეცნობას თუ მიზნის მისაღწევად საზოგადოებაში მიღებულ ჩარჩოებს გადალახავს.

უცნობი გამვლელის ძეგლი

სკულპტურა პოლონეთის ქალაქ ვროცლავში დგას და პოსტკომუნისტური პერიოდის ხელოვნების ნიმუშს მიეკუთვნება.

ავტორმა ასახა მეოცე საუკუნის 80-იანი წლების პოლიტიკური სისტემა, როცა ადამიანის პიროვნებას ყოველნაირად თრგუნავდნენ, თავისუფლებისმოყვარე პოლონელები კი აგრძელებდნენ იატაკქვეშ ბრძოლას.

ზუთხი

ამერიკის ქალაქ პორტლენდში, რომელიც თევზჭერის ცენტრად არის მიჩნეული, ერთ-ერთი რესტორნის კედელზე განთავსებულია ზუთხის ეს ქანდაკება. ამ რესტორანში ზუთხით მომზადებული მრავალფეროვანი კერძებით უმასპინძლდებიან სტუმრებს.

ადამიანები მდინარის ნაპირზე

ეს სკულპტურა სინგაპურელი მოქანდაკის ჩონგ ფახ ჩონგის ნამუშევარია და მის სამშობლოში დგას. მდინარე და ადამიანები მისი საყვარელი თემაა და ბევრი ციკლი აქვს ადამიანებისთვის მდინარისთვის მიძღვნილი.

ფეხსაცმელები დუნაის სანაპიროზე

ეს ძეგლი ბუდაპეშტში, უნგრეთში დგას, დუნაის ნაპირზე, იქ, სადაც მეორე მსოფლიოს ომის დროს ებრაელების დიდი ჯგუფი დახვრიტეს. გერმანელებმა მათ ფეხსაცმელების გახდა უბრძანეს და შემდეგ ცეცხლი გაუხსნეს. დახოცილები მდინარემ წაიღო, ტრაგედიის ადგილზე სხვადასხვა ზომის ფეხსაცმელი დარჩა, მათ შორის — ბავშვებისაც...

„არა – ძალადობას“

ეს სკულპტურა ამერიკაში, ნიუ-იორკში დგას. მის დასახელებაში ავტორის კარლ ფრედრიკ რეიტერსვორდის ძირითადი გზავნილია ასახული.

ძეგლი 1980 წელს დაიდგა და მოქანდაკის ახლო მეგობრის, ჯონ ლენონის მკვლელობის გამოძახილი გახდა. თავად კომპოზიცია ლულაგანასკვულ პისტოლეტს წარმოადგენს.

ბორკილებისგან გათავისუფლება

სკულპტურა ფილადელფიაში დგას და ადამიანის უკვდავებისკენ სწრაფვას ეძღვნება. წარმოდგენილი ფიგურები ერთი ადამიანის არსებობის ოთხი სტადიაა, რომელიც გამოღვიძებიდან იწყება და უკვდავებისკენ გადადგმული ბოლო ნაბიჯით სრულდება.

შავი მოჩვენება

ქანდაკება კლაიპედაში, ლატვიაშია. არსებობს ლეგენდა, რომ მე-16 საუკუნეში მოჩვენებამ ქალაქის ერთ-ერთ მცველი გააფრთხილა, ქალაქში მარცვლეულის მარაგი შეექმნა თ. ითვლება, რომ სულებთან მეგობრობას მატერიალური წარმატების მოტანა შეუძლია.

მოგზაურები

ეს სკულპტურა რამდენიმე წლის წინათ გაჩნდა საფრანგეთში, მარსელში. ის წარმოადგენს კომპოზიციას, რომელიც მრავალი ადამიანისგან შედგება. თითოეულ ფიგურას სხეულის რომელიმე ფრაგმენტი აკლია. რით არის გამოწვეული ავტორის ეს გადაწყვეტა, უცნობია.

ბელა გველესიანი
568 90 81 22

რესტორანი „ივერონი – ხინკლის სახლი“

რუსთაველის გამზირზე მდებარე რესტორანს **„ივერონი – ხინკლის სახლი“**. უკვე ორი წელიწადია დარგის ლიდერის წოდებით აჯილდოებენ. მძლავრი კონკურენციის პირობებში და კულინარიის ისეთი ტრადიციების მქონე ქვეყანაში, როგორიც საქართველოა, ეს ადვილი არ უნდა იყოს. მაგრამ ამას ახერხებს **„ივერონი – ხინკლის სახლი“** მისი ხელმძღვანელის ქალბატონი **ნინო თევდორაშვილის** თაოსნობით.

რესტორანი დახვეწილი დიზაინით გაფორმებული ინტერიერით, მომსახურების მაღალი დონით, პროფესიონალი მუსიკოსებით ყოველ დღე დღესასწაულს სთავაზობს სტუმრებს.

მიბრძანდით რესტორან **„ივერონი – ხინკლის სახლში“**. იქ ხელსაყრელ ფასად უგემრიელეს კერძებს მიირთმევთ, შესანიშნავად მოგემსახურებიან და დაუვიწყარ დროსაც გაატარებთ.

რესტორანი „ივერონი – ხინკლის სახლი“
ვარდების მოედანზე, სასტუმრო „რედისონის“ წინ.

საერთო გაზეთი

მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილავა

გაზეთის გამოწერა შეგიძლიათ შპს „ელვა-ჯი“-ს მეშვეობით
+995 32 238 26 73; +995 32 238 26 74

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში. აგლაძის 39. E-mail: asavaliprint@yahoo.com

ISSN 2233-3983